

ბაიბურთის ძეგლების
2019 წლის
საკვლევო ექსპედიციის ანგარიში

თბილისი 2020

ბაიბურთის ძეგლების 2019 წლის საკვლევო ექსპედიციის ანგარიში

საკვლევო ექსპედიცია ჩატარდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ 2018 წელს გამოცხადებული სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსში – “საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევის” – გამარჯვებული პროექტის – „თურქეთში მდებარე ქართული ისტორიული მხარეების, სპერის, ბაიბურთის და ლაზეთის ქართული მატერიალური კულტურის ძეგლების კატალოგი“ [NHE – 18 – 1109] – ფარგლებში. პროექტი ხორციელდება კავკასიის უნივერსიტეტის მიერ, საქართველოს კულტურისა და ტურისტული რესურსების კვლევის ცენტრის მონაწილეობით.

ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: ბებურ გოზალიშვილი, შალვა კოლუაშვილი, ანა იმედაშვილი.

ექსპედიციის ანგარიში მოამზადეს: პროფესორმა თეიმურაზ ხუციშვილმა (ხელმძღვანელი), ბებურ გოზალიშვილმა, ანა იმედაშვილმა, შალვა კოლუაშვილმა, პროფესორმა დავით მაისურაძემ, ლევან წიქარიშვილმა, ნანა ხუსკივაძემ.

კონსულტანტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი კახა შენგელია; ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თეიმურაზ ჯოჯუა; არქეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი სამი პატაჯი (თურქეთი); ხელოვნებათმცოდნე ნოდარ არონიშიძე.

ანგარიში იბეჭდება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით.

მასალა დალაგებულია ალწერილი ძეგლების დასახელების მიხედვით, ანბანური რიგით.

ფოტოსურათები, რომლებზეც არ არის მითითებული კუთვნილება ან ავტორი, გადაღებულია საქსპედიციო სამუშაოების დროს.

ავტორთა ჯგუფის მიერ 2012-2018 წლებში ჩატარებული 28 ექსპედიციის ანგარიშები ქვეყნდებოდა 2015 წლიდან.

Report of 2019 Research Expedition of Bayburt Monuments

The research expedition was conducted the frame of the winner contest – **Printed and digital catalogues of Georgian Cultural monuments in the area of historical sites in Turkey –Sper, Bayburt and Lazeti** [NHE – 18 – 1109] which was announced by **Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSF)** in 2018 within state scientific grant competition – **Scientific Research of Material and Spiritual Heritage of Georgia Aboard.**

The project was implemented by **Caucasus University** with Partnership of **Research Center of Georgian Culture and Tourism Resources** and its financial support.

Expedition participants: **Bebur Gozalishvili, Shalva Koghuashvili, Ana Imedashvili.**

The expedition report was prepared by: Professor **Teimuraz Khutsishvili** (the head), **Bebur Gozalishvili, Ana Imedashvili, Shalva Koghuashvili**, Professor **Davit Maisuradze, Levan Tsikarishvili, Nana Khuskivadze.**


The consultants: Dr. of Philosophy in History, Professor **Kakha Shengelia**; Dr. of Philosophy in History, Professor **Teimuraz Jojua**; Dr. of social science, Dr. of Archaeology **Sami Pataci (Turkey)**; **Art Historian Nodar Aronishidze.**

The expedition report is printed by **Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia** funding.

The material is sorted alphabetically by the names of the described monuments.

Photos that are not indicated the owner or the author are taken during the expedition work.

The reports of 28 research expeditions conducted by authors group in 2012-2018 have been published since 2015.



© თ. ხუციშვილი, ბ. გოზალიშვილი, ა. იმედაშვილი, შ. კოლუაშვილი, დ. მაისურაძე, ლ. წიქარიშვილი, ნ. ხუსკივაძე
კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა, პ. სააკაძის 1, თბილისი

© T. Khutsishvili, B. Gozalishvili, A. Imedashvili, Sh. Koghuashvili, D. Maisuradze, L. Tsikarishvili, N. Khuskivadze
“Caucasus University Publishing House”, P. Saakadze 1, Tbilisi, Georgia

ISBN 978-9941-9702-07

სარჩევი

შესავალი	6
ძეგლების აღწერილობა	7
აბრანისი, ეკლესია	8
აბუსტა, ხიდი	8
ანბაკსა, თურბე სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით	8
აღვი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის დასავლეთით	9
ახბუნოსი, ციხე	10
ბაიბურთი, ეკლესია, ძველი ჯამე, თურბეები და აბანოები	10
ბაიბურთი, ციხე	12
ბალახორი, ეკლესია და თურბე	13
ბალახორი, ხიდი სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით	14
ბაქსი, თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი	15
ბერნე, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით	16
გეზი, ძველი ჯამე	16
გელბულასი, ეკლესიები და თურბე	16
გივი, ეკლესია სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით	17
გოქლერი, ეკლესია სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით	17
გოჭკელი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის სამხრეთ-დასავლეთით	18
გუგაიარიჭი, ეკლესიები	18
გუგაიარიჭი, კოშკი	19
გუგუნუსი, მეგალითური ციხე სოფლის სამხრეთ-დასავლეთით	20
დანზუდი, ეკლესია	21
დანზუთი, ციხე სოფლის აღმოსავლეთით	21
ევერევი, ეკლესია სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით	22
ეიმური, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით	23
ერგი, ეკლესია	24
ერგი, კოშკი სოფლის ჩრდილოეთით	25
ვარზაჰანი, ეკლესიები	25
ვარზაჰანი, მონასტერი სოფლის სამხრეთ-დასავლეთით	27
ვარზაჰანი, ხიდი	29
ვადანდა, ეკლესიები	29
ვაჰანშენი, მონასტერი	30
ვაჰანშენი, ციხე	30
ზარგიდი, ხიდი	31
ზაღსიკი, ეთნოგრაფიული მუზეუმი	31
ზემო კირზი, ეკლესია სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით	31
ზემო კირზი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით	32
ზემო კიშლალი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის სამხრეთ-დასავლეთით	32
ზემო ლური, ეთნოგრაფიული მუზეუმი	33
ზემო სისნე, ეკლესია სოფლის დასავლეთით	34
ზემო ჩიმალილი, ციხე სოფლის ჩრდილო-დასავლეთით	35
ზემო ხინზავერევი, ძველი ჯამე	36
ზელი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის დასავლეთით	36
თავუქვანქი, ეკლესია სოფლის სამხრეთ-დასავლეთით	37
თუთუზარი, ეკლესია სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით და თურბეები	38
იაკუბაბდალი, თურბე სოფლის ჩრდილო-დასავლეთით	39
იღდირი, ძველი ჯამე და წყარო	39
იმხანითსორი, ეკლესია	40
კარავერაგი, ეკლესია	40
კარავერანი, ეკლესია	42
კერტასორი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის ჩრდილო-დასავლეთით	42

კესტესი, ეკლესია	42
კილხოსი, ციხე	43
კილხოსი, ციხე სოფლის სამხრეთით	43
კიტრე, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის დასავლეთით	45
კიტრე, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის სამხრეთით 1.8 კმ-ზე	45
კიტრე, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის სამხრეთით 4.7 კმ-ზე	46
კიტრე, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის ჩრდილო-დასავლეთით	46
კონდოლოთი, ეკლესია სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით	48
კოპი, ძველი ჯამე და მემორიალი	49
კომკორი, ეკლესია და წყარო	49
ლუსენქი, ეკლესიები	50
მადენჯანლარი, ხიდი	51
მალასა, ეკლესია სოფლის სამხრეთით	51
მამი, ეკლესია და კოშკი (?) სოფლის სამხრეთ-დასავლეთით	52
მასდადი, თურბე სოფლის აღმოსავლეთით	53
მალარა, მშრალი წყობის ნაგებობა	53
მინასი, ეკლესია სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით	54
მონასტერი (სოფ.), ეკლესია	54
მონასტერი (სოფ.), მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის აღმოსავლეთით	56
მოღონოდი, ეკლესიები	57
ნივი, ეკლესია	58
ორსორი, ეკლესია	58
ორსორი, ციხე სოფლის სამხრეთით	59
ორსორი, ციხე სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით	59
ორსორი, ციხე სოფლის ჩრდილოეთით	59
ოსტუკი, ეკლესიისა და სხვა ნაგებობების კომპლექსი სოფლის ჩრდილოეთით	61
პეკესი, თურბე	62
რუშდი, ეკლესია	62
სამკოდი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის აღმოსავლეთით	64
სარაიჯიკი, სოფელში დაფიქსირებული ბაზისი (?)	64
სეიდიაკუბი, თურბე	65
სიბთოროსი, ეკლესია	65
სინორია, ძველი ჯამე და თურბე	66
სიღირჯი, ეკლესია	67
ტახტი, ეკლესიები	68
ტომლა, ეკლესია	68
ფადინიქი, ეკლესია სოფლის სამხრეთ-დასავლეთით	70
ფილესი, ეკლესია	71
ფუგედი, ეკლესია	71
ფულური, ეკლესიები	71
ფულური, ძველი ჯამე, მედრესე და აბანო	72
ფუშკე, ეკლესია	72
ქანი, ეკლესიები	73
ქანი, მეგალითური ციხე სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით	74
ქემო კირზი, ეკლესია	76
ქემო ლური, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის სამხრეთ-დასავლეთით	76
ქემო სისნე, ეკლესია	76
ქემო ჰაიკი, ეკლესია და სოფელში დაფიქსირებული ჯვრიანი ქვა	77
ქისანთა, ციხე სოფლის დასავლეთით	77
ქუთუდი, ციხე სოფლის აღმოსავლეთით	78
ჩაკმანსი, ეკლესია	79
ჩაკმანსი, ციხე სოფლის ჩრდილო-დასავლეთით	80
ჩიტანოსი, ეკლესია	82

ჩიფხინისი, მშრალი წყობის ნაგებობა	82
ჩიფხინისი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის ჩრდილო-დასავლეთით	83
ჩიფხინისი, ხიდი	83
ჩორუზმა, ეკლესია სოფლის ჩრდილო-დასავლეთით	84
ხადრეკი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით	84
ხადრეკი, ხიდი	85
ხაიკი, ციხე სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით	85
ხალტოიარიჭი, ციხე (ერზრუმის პროვინცია)	86
ხარდიში, ეკლესია	87
ხართი, ეკლესია სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით	87
ხართი, ციხე და მიწისქვეშა „ქლაქი“	88
ხახო, მშრალი წყობის ნაგებობების მასშტაბური კომპლექსი სოფლის სამხრეთით	89
ხახო, ციხე და ეკლესია სოფლის დასავლეთით	90
ხელვა, ხიდი	93
ხინზავერეკი, ეკლესია	93
ხორსი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით	94
ჯილარა, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის სამხრეთით	94
ჯუმავანკი, ეკლესია სოფლის ჩრდილო-დასავლეთით	95
ჯუმავანკი, ციხე (?) სოფლის ჩრდილო-დასავლეთით	96
ჰავნუსი, ძველი ჯამე	96
ჰაკილი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის აღმოსავლეთით	97
ჰაფუშქე, ეკლესია	97
ჰეფური, ციხე	98
ჰინდი, ეკლესია	99
ჰინი, ციხე სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით	101
ჰორმე, ძველი ჯამე	102
დანართი 1 - გორა-ნამოსახლარები და გორა-სამარხები	103
დანართი 2 - ისტორიული ზაიბურთის სოფლების ჩამონათვალი	112
ლიტერატურა	119

შესავალი

ისტორიული ბაიბურთის ტერიტორია მოიცავს მდინარე ჭოროხის აუზის უკიდურეს ზემო წელს, რომელსაც აღმოსავლეთიდან ისტორიული სპერი (თანამედროვე ისპირის რაიონი) ესაზღვრება, დასავლეთიდან ისტორიული ხალდია (თანამედროვე გუმუშხანეს პროვინცია), ჩრდილოეთიდან ისტორიული ლაზეთი (თანამედროვე ტრაპიზონის და რიზეს პროვინციები და სამხრეთიდან კი ისტორიული სომხეთი (თანამედროვე ერზურუმის და ერზინჯანის პროვინციები). დღევანდელი ბაიბურთის პროვინცია სამ ადმინისტრაციულ ერთეულად (რაიონად) არის დაყოფილი - დემიროზუს რაიონი, აიდინთეფეს რაიონი და საკუთრივ ბაიბურთის ცენტრალური რაიონი. ამ სამ რაიონში სულ 176 სოფელია.

ისტორიოგრაფიაში ბაიბურთი ქართველ მკვლევართა ნაწილის მიერ ქართულ პროვინციად არის მოაზრებული და მიჩნეულია ქართული ეთნიკური, სახელმწიფოებრივი და კულტურული სივრცის შემადგენელ ნაწილად. მაგ. პავლე ინგოროყვა სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით მიიჩნევდა, რომ ეს ტერიტორია წარმოადგენდა ისტორიული სპერის ნაწილს, რომელიც მოიცავდა ზემო და შუა სპერს.


ამ მხარეში არსებული მატერიალური კულტურის ძეგლების მდგომარეობის შესახებ საკვლევე ექსპედიციები ქართული მხარის მიერ პრაქტიკულად არ ჩატარებულა.

ექსპედიციის ანგარიშში წარმოდგენილია მასალები ისტორიული ბაიბურთის კულტურის ძეგლების თანამედროვე მდგომარეობის შესახებ. საკვლევე ექსპედიცია ჩატარდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ 2018 წელს გამოცხადებული სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსში – “საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევის” – გამარჯვებული პროექტის – “თურქეთში მდებარე ქართული ისტორიული მხარეების, სპერის, ბაიბურთის და ლაზეთის ქართული მატერიალური კულტურის ძეგლების კატალოგი” – ფარგლებში. პროექტი ხორციელდება კავკასიის უნივერსიტეტის მიერ, საქართველოს კულტურისა და ტურისტული რესურსების კვლევის ცენტრის მონაწილეობით.

2019 წელს ჩატარდა 1 ექსპედიცია (20 დღე) ისტორიულ ბაიბურთში (ერთი ციხე დაფიქსირებულია ისტორიულ ერზურუმში). შესწავლილია ამ მხარეში მდებარე 190-მდე სოფელი, ნასოფლარი და მათი მიდამოები. დაფიქსირდა ლიტერატურიდან ცნობილი 50-მდე ძეგლის თანამედროვე მდგომარეობა (ძეგლები ძირითადად თურქულ ლიტერატურაში იყო მოხსენიებული). გარდა ამისა, გამოვლინდა 70-მდე უცნობი ძეგლი, რომლებიც არ იყო მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

დაფიქსირებულ ძეგლთა შორისაა: ეკლესიები, ციხეები, ხიდები, მშრალი წყობის სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობები. პარალელურად დაფიქსირდა გორა-ნამოსახლარები და გორა-სამარხები (იხ. დანართი 1), აგრეთვე ცალკეული თურქული ძეგლები (ჯამეები, თურბეები და სხვა).

მოხდა ზემოხსენებული თითოეული ძეგლის ფოტოფიქსაცია, დადგინდა GPS კოორდინატები და რიგ შემთხვევებში გაკეთდა ანაზომები.

ექსპედიციებისას მიკვლეული ყველა მნიშვნელოვანი სიახლე განთავსებულია „კვლევის ცენტრის“ ვეიბსაიტ გვერდზე ( საქართველოს კულტურისა და ტურისტული რესურსების კვლევის ცენტრი).

ძეგლების აღწერილობა

მასალა დალაგებულია აღწერილი ძეგლების დასახელების მიხედვით, ანბანური რიგით.

აბრანისი, ეკლესია

ისტორიული ბაიბურთის სოფელი აბრანისი, თანამედროვე აკბულუტი, აიდინთეფეს რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Akbulut, Aydıntepe İlçesi, Bayburt İli).

სოფელში, ადგილობრივი მოსახლეობა ადასტურებს ეკლესიის არსებობას და მიუთითებს მისი მდებარეობის ადგილს (40°24'7.81"N; 40°14'37.33"E). ნაგებობის არტეფაქტები შემორჩენილი სახით აღარ ფიქსირდება.

ეკლესია არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.



ფოტო 1. სოფელი აბრანისი



ფოტო 2. ეკლესიის ადგილი

აბუსტა, ხიდი

ისტორიული ბაიბურთის სოფელი აბუსტა, თანამედროვე ჩაკირბალი, ბაიბურთის ცენტრალური რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Çakırbağ, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფელში, სამხრეთ-აღმოსავლეთით, მდინარე ჭოროხზე, შემორჩენილია ქვის ხიდი (40°23'16.05"N; 40°30'10.24"E), რომლისგანაც, თავდაპირველი სახით, მხოლოდ ორი კიდურა ბურჯია შერჩენილი, ხოლო მისი სავალი ნაწილი განახლებულია.

ხიდი არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.



ფოტო 1. სოფელი აბუსტა



ფოტო 2. ხიდის ამჟამინდელი მდგომარეობა

ანზაკსა, თურბე სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით

ისტორიული ბაიბურთის სოფელი ანზაკსა, თანამედროვე გუნეშლი, დემიროზუს რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Güneşli, Demirözü İlçesi, Bayburt İli).

სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაახლოებით 2.8 კილომეტრზე, ძველი სასაფლაოს ტერიტორიაზე მდებარეობს თურბე (აკლდამა) (40°11'26.20"N; 39°56'58.86"E), რომელიც ეკუთვნის XV საუკუნეში, ოტლუკბელის ბრძოლაში დაღუპულ მეომარს სეიიდ კასიმს.



ადგი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის დასავლეთით

ისტორიული ბაიბურთის სოფელი ადგი, თანამედროვე იუკარი დიკმეტაში, დემიროზუს რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Yukarı Dikmetaş, Demirözü İlçesi, Bayburt İli).

სოფლის დასავლეთით, დაახლოებით 1.3 კილომეტრზე, მაღალი მთის თხემზე, მდებარეობს მშრალი წყობის ნაგებობა (მიახლოებითი ზომები: 70x30 მ) (40°02'32.04"N; 39°46'8.34"E). ნაგებობის კედლები დანგრეულია, ქვები ჩაყრილია ბორცვის ძირში, ნაგები ყოფილა საშუალო ზომის დაუმუშავებელი ქვით. დარჩენილია კედლების საძირკვლის დონემდე დანგრეული წყობები. ძეგლის ოთხივე კუთხეში დარჩენილია ნახევარწრიული ფორმის ნაგებობათა კვალი, სავარაუდოდ გოდოლების (ზომა: 3x3 მ). ჩანს ნაგებობას ორმაგი გალავანი ჰქონია – დასავლეთით და სამხრეთით შემორჩენილია შიდა კედელს მიბჯენილი გარე კედლების ფრაგმენტები. ნაგებობის შიდა პერიმეტრზე, ცენტრში, მცირე ზომის წრიული და ოთხკუთხა ნაგებობებია – სავარაუდოდ სამარხები, რომელთა ნაწილი გათხრილია განძის მაძიებელთა მიერ. ნაგებობის შიდა მოცულობაში შემორჩენილია კედლებს მიბჯენილი ოთხკუთხა ნაგებობების ფრაგმენტები. ადგილობრივი მოსახლეობა ძეგლს „ზიარეთს“ უწოდებს.

ნაგებობა არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.





სოფლის სამხრეთით ფიქსირდება გორა-ნამოსახლარი (იხ. დანართი 1).

ახუნოსი, ციხე

ისტორიული ბაიბურთის სოფელი ახუნოსი, თანამედროვე ჩამლიქოზი, ბაიბურთის ცენტრალური რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Çamlıközü, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფელში, შემადღებული ბორცვის თავზე, ციხე მდგარა (40°22'56.98"N; 40°31'53.81"E), რომელიც ამჟამად სრულადაა განადგურებული. არტეფაქტები შემორჩენილი არ არის. ადგილობრივი მოსახლეობა ამ ადგილს „კალეს“ (ციხეს) უწოდებს.

ციხე არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.



ფოტო 1. სოფელი ახუნოსი



ფოტო 2. კლდე, სადაც ციხე იდგა

ბაიბურთი, ეკლესია, ძველი ჯამე, თურბეები და აზანოები

ისტორიული ბაიბურთი, თანამედროვე ქალაქი ბაიბურთი, (Bayburt Şehri, Bayburt İli).

ქალაქში, ციხის უბანში, ჯამეს ადგილას, ეკლესია მდგარა (40°15'56.08"N; 40°13'29.04"E). ამჟამად, მის ტერიტორიაზე, 1858 წელს აშენებული, ჯამეა განთავსებული.



ქალაქში ცენტრალურ, მთავარ, ჯამეს, ულუ ჯამე (დიდი ჯამე) წარმოადგენს (40°15'38.91"N; 40°13'31.21"E), რომელიც აშენებულია 1810 წელს. მის შესასვლელში რამდენიმე, ქვაზე ამოკვეთილი, არაბული წარწერაა ჩასმული.



ქალაქის განაპირას, დასავლეთით, მაღალ ბორცვზე, რომელიც გადმოჰყურებს ქალაქს, ერთმანეთან ახლო-ახლოს, ორი თურბე დგას (40°15'39.37"N; 40°13'9.65"E).



ქალაქში შემორჩენილია სამი აბანო, ერთი ბაიბურთის ციხის ძირში (40°15'40.56"N; 40°13'48.93"E), მდინარე ჭოროხთან მდებარეობს. ორი აბანო (40°15'45.18"N; 40°13'57.67"E), ციხესთან ახლოს, ერთმანეთზეა მიდგმული, რომლებიც ასევე აგებულია მდინარე ჭოროხის პირას.



ფოტო 1. აბანო ციხის ძირში.

ფოტო 2. ორი აბანო ჭოროხის პირას.

ბაიბურთი, ციხე

ისტორიული ბაიბურთი, თანამედროვე ქალაქი ბაიბურთი, (Bayburt Şehri, Bayburt İli).

ქალაქში, დასახლების ცენტრში, მაღალი, კონუსური მთის თხემზე, ლიტერატურიდან კარგად ცნობილი, ბაიბურთის მასშტაბური ციხეა აგებული (40°15'49.69"N; 40°13'45.40"E). მთას, სადაც ციხე მდებარეობს, მდინარე ჭოროხი მარყუჟისებურად შემოსდევს. ამჟამად, ციხის დიდი ნაწილი აღდგენილია. მასშტაბური ციხის კედლები რამდენიმე ფენად შემოსდევს კლდეს. დარჩენილია მისი შიდა ნაგებობები, კარიბჭეები, ჯამე არაბული წარწერით და მის ცენტრში მდებარე სამნავიანი ბაზილიკის ტიპის ეკლესიის ნაშთები. ციხის კედლებში, რამდენიმე ადგილას, არაბულწარწერიანი (აღმოსავლეთის კედლის ფასადზე 4 წარწერაა, ერთი წარწერა სამხრეთის ფასადზე, ერთიც ჩრდილო-დასავლეთით) და სომხურწარწერიანი ქვებია. სამხრეთ კარიბჭესთან ჯვრიანი ქვა გვხვდება. ნაგებობას ფასადის ქვებზე ფერადი კერამიკის ფიგურები ჰქონია ჩასმული. წრიული, ოთხკუთხა, რომბული ფორმის ნაჭდევები დღემდე შემორჩენილი ქვებზე. რამდენიმე მათგანში კი ნიმუშის სახითაა ჩასმული ლაჟვარდისფერი მოჭიქული კერამიკა. ციხე თავისი მასშტაბურობით ქალაქის მთავარ კულტურის ძეგლს წარმოადგენს.





ბალახორი, ეკლესია და თურბე

ისტორიული ბაიბურთის სოფელი ბალახორი, თანამედროვე აქშარი, ბაიბურთის ცენტრალური რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Akşar, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფელში ადგილობრივი მოსახლეობა ადასტურებს ეკლესიის არსებობას და მიუთითებს მის მდებარეობის ადგილს (40°21'7.41"N; 39°58'36.41"E), მათივე ინფორმაციით ეკლესია დაუნგრევიათ და მის ადგილას სკოლა აუშენებიათ. ამჟამად, ადგილზე არტეფაქტები შემორჩენილი არ არის. მათ შორის დანგრეულია, მოგვიანებით აგებული, სკოლის შენობაც.

ეკლესია არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.



ფოტო 1. სოფელი ბალახორი



ფოტო 2. ეკლესიის ადგილი

სოფელში, მთავარი დასახლების სამხრეთით, შემადლებულ ბორცვზე, სასაფლაოს ტერიტორიაზე მდებარეობს თურბე (აკლდამა) ($40^{\circ}20'47.13''N; 39^{\circ}58'23.53''E$). მისი ინტერიერი ახლადაა მოპირკეთებული, თუმცა შენარჩუნებულია თავდაპირველი სახე. ცენტრში ჰაჩი ჰასან ევენდის სამარხია.

თურბე მოხსენიებულია თურქულ ლიტერატურაში.



სოფელში ფიქსირდება გორა-ნამოსახლარები (იხ. დანართი 1.).

ბალახორი, ხიდი სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით

ისტორიული ბაიბურთის სოფელი ბალახორი, თანამედროვე აქშარი, ბაიბურთის ცენტრალური რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Akşar, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაახლოებით 2.7 კილომეტრზე, მდინარე ჭოროხის ერთ-ერთ შენაკადზე, ორმალიანი ქვის ხიდია გადებული ($40^{\circ}20'11.29''N; 40^{\circ}00'2.30''E$). მიახლოებითი ზომები: ხიდის სიგანე 4 მ, შიდა – 3.1 მ, ბურჯების სიმაღლე 6 მ, სიგრძე 77 მ. ის კლასიკური, ოსმალური ტიპის ნიმუშად ითვლება.

ხიდი მოხსენიებულია თურქულ ლიტერატურაში.



ბაქსი, თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი

ისტორიული ბაიბურთის სოფელი ბაქსი, თანამედროვე ბაირაქტარი, ბაიბურთის ცენტრალური რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Bayraktar, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფლის დასახლებიდან დასავლეთით, დაახლოებით 1 კილომეტრზე, მდინარე ჭოროხის ხეობაში, მდებარეობს ბაქსის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი (40°23'08.17"N; 40°33'59.05"E).

მუზეუმის სახელწოდება სოფლის ისტორიულ სახელს უკავშირდება, შამანთა ენაზე „ბაქსი“ მცველს, მფარველს ნიშნავს. თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის დაარსება ამავე სოფლის მკვიდრს, ხელოვანს და პროფესორს ჰუსამეთინ ქოჩანს უკავშირდება. მუზეუმის მშენებლობა 2000 წელს დაიწყო და მთლიანად შემოწირულობებით დაფინანსდა.

ბაქსის ავანგარდული არქიტექტურული სტილის მუზეუმი ისტორიული აბრეშუმის გზაზე მდებარეობს და მოწყვეტილია ყოველგვარ ცივილიზაციას, რაც მისი ერთ-ერთი კონცეფციაა. მუზეუმს ექსპონატები ხელოვანებისგან საჩუქრად გადაეცემა, გარდა ამისა ნებისმიერ ადამიანს შეუძლია მუზეუმს გადასცეს ნივთი, რაც მისთვის თანამედროვე ხელოვნებასთან ასოცირდება.

მუზეუმის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება ადგილობრივი ხელოვნებისა და ფოლკლორის შენარჩუნებაა, ამ მიზნით მუზეუმში არსებობს სახელოსნოები, სადაც ისტორიული ხელსაქმის შენარჩუნება ხდება, აქ ძირითადად ადგილობრივები მუშაობენ.

მუზეუმს გააჩნია ბიბლიოთეკა, სახელოსნოები, მაღაზია, სასტუმრო და რესტორანი.



ფოტო 1. მუზეუმი, ზოგადი ხედი



ფოტო 2. მუზეუმის მთავარი შენობა



ფოტო 3,4. თიხის თანამედროვე და ძველი ექსპონატები



ფოტო 5. ერთ-ერთი საგამოფენო სივრცე



ფოტო 6. მუზეუმის ბიბლიოთეკა

ბერნე, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით

ისტორიული ბაიბურთის სოფელი ბერნე, თანამედროვე ბალჯა, ბაიბურთის ცენტრალური რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Balca, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაახლოებით 4.6 კილომეტრზე, მაღალი მთის თხემზე, მდებარეობს მშრალი წყობის ნაგებობის ნაშთები (40°08'35.05"N; 40°11'50.18"E). კედლის წყობა აღარ ფიქსირდება და დარჩენილია მხოლოდ ქვყარილის სახით.

ნაგებობა მოხსენიებული არ არის ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.



ფოტო 1. სოფელი ბერნე



ფოტო 2. ნაგებობის ნაშთები

გეზი, ძველი ჯამე

ისტორიული ბაიბურთის სოფელი გეზი, თანამედროვე გეზქოი, ბაიბურთის ცენტრალური რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Gez köy, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფელში მდებარეობს ძველი ჯამე (40°12'22.95"N; 40°20'23.55"E), რომლის ინტერიერშიც შემორჩენილია ხის ე.წ. „მესხური დარბაზის“ გადახურვა და დედაბოძები.



გელბულასი, ეკლესიები და თურბე

ისტორიული ბაიბურთის სოფელი გელბულასი, თანამედროვე კავაჯიკი, ბაიბურთის ცენტრალური რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Kavacık, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფლის სამხრეთ-დასავლეთით (დაახლოებითი არეალი 40°16'01.78"N; 40°04'20.95"E) თურქულ ლიტერატურაში ფიქსირდება ეკლესია, თუმცა ადგილზე მისი კვალი არ აღმოჩნდა. ამ არეალში დასტურდება გორა-ნამოსახლარი (იხ. დანართი 1).



ფოტო 1. სოფელი გელბულასი



ფოტო 2. ეკლესიის დაახლოებითი არეალი

სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაახლოებით 3 კილომეტრზე, სოფლების გელბულასის და ზაკზიკს შორის ადგილობრივი მოსახლეობა ადასტურებს ეკლესიის არსებობას, თუმცა, როგორც ისინი ამბობენ, მოცემულ ტერიტორიაზე არტეფაქტები შემორჩენილი არ არის. ძეგლის ზუსტი ლოკაციის დაფიქსირება ვერ მოხერხდა.

სოფლის სამხრეთით, დაახლოებით 0.7 კილომეტრზე მდებარეობს თურქული ლიტერატურიდან ცნობილი თურბე (აკლდამა) ($40^{\circ}16'15.02''N$; $40^{\circ}04'59.82''E$).



სოფლის სამხრეთ-დასავლეთით ფიქსირდება გორა-ნამოსახლარები (იხ. დანართი 1).

გივი, ეკლესია სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით

ისტორიული ბაიბურთის სოფელი გივი, თანამედროვე გენჩოსმანი, ბაიბურთის ცენტრალური რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Gençosman, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაახლოებით 2.4 კილომეტრზე, გენჩოსმანის უბანთან, ტყეში, ადგილობრივი მოსახლეობა ადასტურებს ეკლესიის არსებობას და მიუთითებს დაახლოებით არეალს ($40^{\circ}10'02.77''N$; $40^{\circ}20'05.65''E$). ადგილზე არტეფაქტები აღარაა შემორჩენილი.

ეკლესია არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.



ფოტო 1. სოფელი გივი

გოქლერი, ეკლესია სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით

ისტორიული ბაიბურთის სოფელი გოქლერი, თანამედროვე გოქლერი, ბაიბურთის ცენტრალური რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Gökler, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაახლოებით 1 კილომეტრზე, ადგილობრივი მოსახლეობა ადასტურებს ეკლესიის არსებობას ერთ-ერთ ხეობაში და უთითებს მისი მდებარეობის დაახლოებით ადგილს ($40^{\circ}24'51.93''N$; $39^{\circ}53'55.56''E$), თუმცა, მათივე თქმით, ძეგლი შემორჩენილი არაა და არც რაიმე სახის არტეფაქტია შემორჩენილი ადგილზე.

ეკლესია არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

გოქჯელი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის სამხრეთ-დასავლეთით

ისტორიული ზაიბურთის სოფელი გოქჯელი, თანამედროვე გოქჯელი, ზაიბურთის ცენტრალური რაიონი, ზაიბურთის პროვინცია (Gökçeli, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფლის სამხრეთ-დასავლეთით, დაახლოებით 2 კილომეტრზე, ბორცვის კლდოვან თხემზე, შემორჩენილია მშრალი წყობის ნაგებობა (40°24'25.91"N; 40°19'15.05"E). ძეგლი ძლიერაა დაზიანებული, მისი კედლები ჩაშლილია და დარჩენილია ქვაცირილის სახით. ის გადათხრილია განძის მაძიებელთა მიერ. ტერიტორიაზე კერამიკის ფრაგმენტებია მიმოფანტული.

ნაგებობა არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.



გუგაიარიჭი, ეკლესიები

ისტორიული ზაიბურთის სოფელი გუგაიარიჭი, თანამედროვე კონურსუ, ზაიბურთის ცენტრალური რაიონი, ზაიბურთის პროვინცია (Konursu, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფელში, ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციით ორი ეკლესია ყოფილა, ამჟამად, ორივე განადგურებულია. ერთი მათგანი სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაახლოებით 1.2 კილომეტრზე, ყანების ტერიტორიაზეა აგებული (40°23'1.52"N; 40°15'56.55"E), რომლისგანაც დარჩენილია ქვები და კერამიკის ფრაგმენტები. ეკლესია გადათხრილია განძის მაძიებელთა მიერ.

მეორე ეკლესია სოფლის სამხრეთით, მის შესასვლელში ყოფილა აშენებული, რომლისგანაც, ამჟამად, აღარაფერია შემორჩენილი. ამ ადგილს მოსახლეობა „განგიდს“ უწოდებს. ეკლესიის ზუსტ ადგილს ვერ უთითებენ.

ეკლესიები არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

ცნობილი თურქი ლინგვისტი სევანი ნიშანიანი ვარაუდობს, რომ ტოპონიმი „გუგაიარიჭი“ შეიძლება მომდინარეობდეს „Gürücü aric'i“-დან, რაც, მისი აზრით, ქართველთა დასახლებას უნდა ნიშნავდეს.



ფოტო 1. ეკლესიის ადგილი სამხ.-აღმ.-ით.



ფოტო 2. ეკლესიის ქვები



ფოტო 3. ეკლესიის ადგილი სამხრეთით.

გუგაიარიჭი, კოშკი

ისტორიული ზაიბურთის სოფელი გუგაიარიჭი, თანამედროვე კონურსუ, ზაიბურთის ცენტრალური რაიონი, ზაიბურთის პროვინცია (Konursu, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფელში, კლდოვანი კონცხის თავზე, სამხრეთ ნაწილში, შემორჩენილია კედლის ფრაგმენტი. მოსახლეობის თქმით ამ ადგილას კოშკი მდგარა (40°23'45.82"N; 40°15'22.55"E).

კოშკი არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.



სოფელში შემორჩენილია სახლი (40°23'40.52"N; 40°15'24.43"E), რომლის მესაკუთრის ინფორმაციით ის 250 წლისაა. სახლი ნაშენია ქვითა და დულაბით. მის პირველ სართულზე დარჩენილია ჭა, მასიური ქვისგან თლილი სათავსო და ბუხრის ქვის თავი - ორნამენტებით.



სოფელში ძველი ჯამე და წყაროს ნაგებობაა არაბული წარწერით (40°23'42.11"N; 40°15'23.12"E).



გუგუნუსი, მეგალითური ციხე სოფლის სამხრეთ-დასავლეთით

ისტორიული ბაიბურთის სოფელი გუგუნუსი, თანამედროვე გუნლუჯე, ბაიბურთის ცენტრალური რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Günlüce, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფლის სამხრეთ-დასავლეთით, დაახლოებით 2.8 კილომეტრზე, მაღალი, კლდოვანი თხემის ქიმზე, შემორჩენილია მეგალითური ციხე (40°14'38.90"N; 40°17'32.37"E). მისი კედლების დიდი ნაწილი ჩაშლილია, იკითხება გეგმა (ზომები: 14×18 მ), რომელიც კვადრატსაა მიახლოებული. ნაგებია დიდი ზომის ქვებით. კედლის სისქე 2-2.5 მეტრია, ხოლო მათ შორის არსებული სივრცე ამოვსებულია ნატეხი ქვით. ციხე სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისკენ, ფერდზე ეშვება. მის სამხრეთ-აღმოსავლეთით დარჩენილია მართკუთხა ნაგებობა (სიგრძე 2.5 მ, სიგანე 1.3 მ, სიღრმე 2.5 მ), რომლის სამი კვლის კედლებიც კარგად ჩანს, რადგან გათხრილია განძის მაძიებელთა მიერ. ნაგებობას გარე მხრიდან მიდგმული აქვს წრიული გოდოლი, რომელიც ამჟამად ჩაშლილია. ჩანს, ასეთივე გოდოლი ჰქონდა ციხის სამხრეთ კუთხესაც. მართკუთხა ნაგებობის ჩრდილო-აღმოსავლეთით კიდევ ერთი ნაგებობის კვალია. დარჩენილია სამხრეთ-აღმოსავლეთი კედლის ნაწილები - მისი სამხრეთი კედელი უერთდება ზედა ნაგებობის ჩრდილო-დასავლეთ კედელს. ძეგლს ჩრდილო-აღმოსავლეთით ბუნებრივი კლდის ქარაფი აქვს და, როგორც ჩანს, მისი კედელი სწორედ ამ ნაწილში მდებარეობდა. ამ ნაწილში განირჩევა შიდა ნაგებობის კედლის კვალი. ადგილობრივი მოსახლეობა მას „ქილისეს“ (ეკლესიას) უწოდებს.

ციხე არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.





დანზუდი, ეკლესია

ისტორიული ზაიბურთის სოფელი დანზუდი, თანამედროვე ბულდაილი, ზაიბურთის ცენტრალური რაიონი, ზაიბურთის პროვინცია (Bugdaylı, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფელში, ადგილობრივმა მოსახლეობამ გადმოცემით იცის ეკლესიის არსებობა, თუმცა არტეფაქტები შემორჩენილი აღარაა და ვერც მის ადგილს უთითებენ.

ეკლესია არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.



ფოტო 1. სოფელი დანზუდი

დანზუთი, ციხე სოფლის აღმოსავლეთით

ისტორიული ზაიბურთის სოფელი დანზუთი, თანამედროვე იაზლიკი, აიდინთეფეს რაიონი, ზაიბურთის პროვინცია (Yazlık, Aydıntepe İlçesi, Bayburt İli).

სოფლის აღმოსავლეთით, დაახლოებით 1.4 კილომეტრზე, შემალეებული ბორცვის კლდოვან თხემზე, ციხე ყოფილა აგებული (40°26'04.18"N; 40°05'18.32"E). ამჟამად, ნაგებობა დანგრეულია და აღარ

ჩანს კედლების კვალი. ბორცვის ფერდზე დარჩენილია მხოლოდ ქვაყრილები. ადგილობრივი მოსახლეობა ამ ადგილს „კალეს“ (ციხეს) უწოდებს და ადასტურებს აქ ციხის არსებობას.

ციხე არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.



ევერეკი, ეკლესია სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით

ისტორიული ბაიბურთის სოფელი ევერეკი, თანამედროვე ორენჯე, ბაიბურთის ცენტრალური რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Örence, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაახლოებით 2.7 კილომეტრზე, სადაც ძველი ევერეკი მდებარეობდა, ძველი სასაფლაოს ტერიტორიაზე, მდებარეობს დარბაზული ეკლესია ($40^{\circ}08'35.69''N$; $40^{\circ}23'35.46''E$). შემორჩენილია ძეგლის ძირითადი კონსტრუქცია (სიგრძე 11 მ, სიგანე 5.5 მ). ეკლესია ნაგებია უხეშად დამუშავებული, თანაბარი ზომის, კვადრებით. ზოგიერთ ადგილას გამოყენებულია შირიმის ქვაც. შესასვლელი სამხრეთით ჰქონია, რომელიც, ამჟამად, მონგრეულია. გადახურვა კამაროვანია. ინტერიერში, ეკლესიის ცენტრალურ ნაწილში და აღმოსავლეთით, ძირითად სივრცესა და კონქს შორის გადაყვანილია თალი, რომელიც სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლებზე არსებულ კაპიტელებს ეყრდნობა. აღმოსავლეთით და დასავლეთით თითო, მოგრძო ფორმის სარკმელია გაჭრილი, ხოლო ჩრდილო-დასავლეთ კედელში პატარა ნიშია გამოდებული. აღმოსავლეთით, საკურთხეველის ჩრდილოეთ ნაწილში ნიშია, სამხრეთითაც, სავარაუდოდ ასე იქნებოდა, თუმცა აქ მისი შიდა მოპირკეთების ქვები მონგრეულია. აღმოსავლეთით და დასავლეთით, გადახურვაში ასევე რამდენიმე, თიხის წრიული ფორმის ნიშია ჩატანებული. ეკლესია შელესილი ყოფილა - კედლებზე შემორჩენილია ნალესობის კვალი. ტაძრის შესასვლელში მოწითალო ფერის ქვა გდია, რომელზეც ამოკვეთილია მკლავებგაფართოებული ჯვარი.

ეკლესია არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.





ეიმური, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით

ისტორიული ბაიბურთის სოფელი ეიმური, თანამედროვე ეიმური, დემიროზუს რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Eymür, Demirözü İlçesi, Bayburt İli).

სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაახლოებით 2.7 კილომეტრზე, მაღალი მთის თხემზე, მდებარეობს მშრალი წყობის ნაგებობა (40°07'42.14"N; 39°50'43.16"E). შენობა ძლიერაა დაზიანებული. მისი კედლები ჩაშლილია და ქვები ჩაყრილია ბორცვის ძირში. განირჩევა სამირკვლის დონემდე დანგრეული კედლების კონტურები. ბორცვის ფერდზე იკითხება კედლის წყობის ფრაგმენტები, რომელიც ბორცვს შემოსდევს - მის თხემზე კი მეორე ნაგებობის კედლის ნაშთებია. მათ შორის განირჩევა მოზრდილი, ოთხკუთხა ნაგებობების კვალი (12x12 მ), რომლის კედლის სისქე 1.5 მეტრია. ბორცვის თხემზე მდებარე ნაშთის დასავლეთ და ჩრდილოეთ ნაწილში უკეთაა შემორჩენილი ქვის წყობების პირველი ხაზი. სამხრეთით, ნაგებობის კედელში, ჩართულია ბუნებრივი კლდე. ძეგლის შიდა პერიმეტრზე განირჩევა კედელს მიბჯენილი ოთხკუთხა ფორმის ნაგებობების კვალი. ნაშთის აღმოსავლეთით, რამდენიმე მეტრში, გორა-სამარხია (იხ. დანართი 1). ამ ორ ძეგლს შორის, ასევე, განირჩევა კედლის წყობის კონტური.

ნაგებობა მოხსენიებულია თურქულ ლიტერატურაში.





ერგი, ეკლესია

ისტორიული ზაიბურთის სოფელი ერგი, თანამედროვე თაშოჯადი, ზაიბურთის ცენტრალური რაიონი, ზაიბურთის პროვინცია (Taşocağı, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფელში შემორჩენილია ეკლესია (40°19'0.67"N; 40°03'3.09"E). ნაგებობის ძირითადი ნაწილი დანგრეულია და დარჩენილია მისი აღმოსავლეთ ნაწილი - საკურთხევლის აფსიდის მომრგვალება, რომლის უკეთ შემორჩენილი კედლის სიმაღლე 1.7 მეტრია. ეკლესია ნაგები ყოფილა მოყვითალო, უხეზად დამუშავებული, მოზრდილი, კვადრებით. ჩრდილო-აღმოსავლეთით მიდგმულია ადგილობრივი მცხოვრების სამეურნეო ნაგებობა, ხოლო მისი დანარჩენი ნაწილი მიწითაა დაფარული.

ეკლესია არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.



სოფელის ჩრდილოეთით ფიქსირდება გორა-სამარხი (იხ. დანართი 1).

ერგი, კოშკი სოფლის ჩრდილოეთით

ისტორიული ბაიბურთის სოფელი ერგი, თანამედროვე თაშოჯალი, ბაიბურთის ცენტრალური რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Taşocağı, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფლის ჩრდილოეთით, დაახლოებით 1.5 კილომეტრზე, სათიბების ტერიტორიაზე ნასახლარებია, სადაც შემალღებული ბორცვის თავზე, მცირე ზომის, წრიული კოშკის ნაშთებია დარჩენილი (40°19'50.93"N; 40°02'42.93"E). ძეგლიდან შემორჩენილია ქვის მშრალი წყობით ნაგები კედლის ფრაგმენტი. ირგვლივ მრავლადაა მიმოფანტული კერამიკის ფრაგმენტები. მოსახლეობა ამ ადგილს „თოფუქს“ უწოდებს. მათივე ინფორმაციით სოფელი ძველად ამ ტერიტორიაზე ყოფილა.

კოშკი მოხსენიებულია თურქულ ლიტერატურაში.



ვარზაჰანი, ეკლესიები

ისტორიული ბაიბურთის სოფელი ვარზაჰანი, თანამედროვე უღრაკი, ბაიბურთის ცენტრალური რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Uğrak, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფლის ტერიტორიაზე შემორჩენილია ოთხი ეკლესიის ნაშთი. სოფლის ჩრდილოეთით, გვხვდება ეკლესია (40°19'10.03"N; 40°07'35.64"E), რომელიც, ამჟამად, დანგრეულია და დარჩენილია მხოლოდ მისი სავარაუდოდ, აღმოსავლეთი კედლის ნაშთი. კერძოდ, შემორჩენილია საკურთხევლის აფსიდისა და კონქის ნაწილი; აგრეთვე, სავარაუდოდ, მისი ჩრდილოეთი პასტოფორიუმი სრულად, რომელშიც აღმოსავლეთითა და სამხრეთით ორი კარია. აღმოსავლეთით, კარის თავზე თაღოვანი ქვაა ჯვრის ორნამენტით - დარჩენილია პილასტრებიც. ნაგებობა შეეთერებულია. ტაძრის შემორჩენილი კედლები ჩართულია ადგილობრივი მცხოვრების სამეურნეო ნაგებობაში და მისი შემორჩენილი ნაწილის ზუსტი გეგმის აღდგენა ვერ ხერხდება.

ეკლესია არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.



სოფელში ადგილობრივმა მცხოვრებმა, 70 წლის სელაჰატინ ევემ, მოგვარწოდა ინფორმაცია კიდეც სამი ეკლესიის არსებობის შესახებ და გვაჩვენა მათი ადგილები. სამივე ეკლესია დანგრეულია, შემორჩენილია მხოლოდ ნაგებობების ქვები.

ეკლესიები არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

ეკლესია სოფლის ტერიტორიაზე სამხრეთით (40°19'03.50"N; 40°07'33.77"E).



ეკლესიის ქვები სოფლის ტერიტორიაზე, სამხრეთით.

ეკლესია სოფლის განაპირას, ჩრდილო-დასავლეთით (40°19'12.35"N; 40°07'31.49"E).



ეკლესიის ადგილი სოფლის განაპირას, ჩრდილო-დასავლეთით

ეკლესია სოფლის განაპირას, აღმოსავლეთით (40°19'09.40"N; 40°07'42.73"E).



ეკლესიის ნაშთები სოფლის განაპირას, აღმოსავლეთით

სოფელში, ძველი ქვის სახლის (40°18'59.48"N; 40°07'35.46"E) კედლის ზედა ნაწილში ჩატანებულია ორნამენტური ქვა, რომელიც ეკლესიას უნდა ეკუთვნოდეს. შესაძლოა, ქვა სოფლის ერთ-ერთი დანგრეული ეკლესიიდან იყოს, რომელიც სახლთან რამდენიმე მეტრში მდებარეობდა. ამ ნაგებობას ადგილობრივი მოსახლეობა „არშაკ ფაშას“ სასახლეს უწოდებს.



ვარზაჰანი, მონასტერი სოფლის სამხრეთ-დასავლეთით

ისტორიული ბაიბურთის სოფელი ვარზაჰანი, თანამედროვე უღრაკი, ბაიბურთის ცენტრალური რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Uğrak, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფლის სამხრეთ-დასავლეთით, ძველი ვარზაჰანის ნასახლარებია, მის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ლიტერატურაში ცნობილი მონასტერი მდებარეობდა. ამჟამად, მონასტრის ნაგებობები სრულადაა განადგურებული, ხოლო ეს ტერიტორია გამოყენებულია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით. მონასტრის სავარაუდო ადგილას, ერთმანეთთან ახლოს (დაახლოებით 200 მეტრის დაშორებით)

რამდენიმე ნაგებობის კვალია (40°18'22.28"N; 40°06'38.44"E) (40°18'20.09"N; 40°06'43.01"E) (40°18'19.23"N; 40°06'44.19"E), რომლებიც გათხრილია განძის მამიებელთა მიერ. ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციით აქ სამი ეკლესია უნდა ყოფილიყო. აგრეთვე, მოსახლეობა ადასტურებს ამ არეალში მრავალი, დიდი ზომის, ცხვრის ფორმის საფლავის ქვების არსებობას, რომლებიც, ამჟამად, მიწითაა დაფარული. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვარზახანის მონასტერი სწორედ ამ ადგილას უნდა ყოფილიყო. ადგილზე სხვა არტეფაქტი შემორჩენილი არ არის. არსებული არტეფაქტები და ინფორმაცია ემთხვევა საარქივო ფოტომასალას.



ფოტო 1, 2, 3, 4. საარქივო ფოტომასალა.



ფოტო 5. მონასტრის ტერიტორია



ფოტო 6. ნაგებობის ნაშთი 1.



ფოტო 7. ნაგებობის ნაშთი 2.



ფოტო 8. ნაგებობის ნაშთი 3.

ვარზაჰანი, ხიდი

ისტორიული ზაიბურთის სოფელი ვარზაჰანი, თანამედროვე უდრაკი, ზაიბურთის ცენტრალური რაიონი, ზაიბურთის პროვინცია (Uğrak, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფელში, მდინარეზე შემორჩენილია ქვის ერთმალიანი ხიდი (40°18'47.58"N; 40°07'46.66"E). მისი ზომებია – სიგრძე 12 მ, სიგანე 7 მ, სიმაღლე 4.5 მ.

ხიდი მოხსენიებულია თურქულ ლიტერატურაში.



ვადანდა, ეკლესიები

ისტორიული ზაიბურთის სოფელი ვადანდა, თანამედროვე ჩაირქოფრუ, აიდინთეფეს რაიონი, ზაიბურთის პროვინცია (Çayırköprü, Aydıntepe İlçesi, Bayburt İli).

სოფლის ჩრდილო-დასავლეთით, დაახლოებით 1.6 კილომეტრზე (40°21'54.94"N; 40°11'49.89"E) და 1.8 კილომეტრზე (40°21'59.03"N; 40°11'47.61"E), სამანქან გზასთან ახლოს, სადაც ახლა ყანებია. ორი ეკლესია მდგარა. ამჟამად, ორივე ძეგლი განადგურებულია, დარჩენილია მხოლოდ ქვები. მოსახლეობა ამ ადგილს „ვანქს“ უწოდებს. ამავე სოფელში, ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაახლოებით 1.7 კილომეტრზე, ყანებში, კიდევ ერთი ეკლესია ყოფილა (40°21'49.70"N; 40°13'47.52"E), რომელიც ასევე განადგურებულია. ეკლესიის ადგილები გადათხრილია განძის მაძიებელთა მიერ.

ეკლესიები არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.



ფოტო 1. ეკლესია ჩრდ-დას-ით 1.8 კმ.-ზე.



ფოტო 2. ეკლესია ჩრდ- დას-ით. 1.6 კმ.-ზე



ფოტო 3. ეკლესია ჩრდილო-აღმოსავლეთით.

ვაჰანშენი, მონასტერი

ისტორიული ბაიბურთის სოფელი ვაჰანშენი, თანამედროვე ჩათიქსუ, აიდინთეფეს რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Çatıksu, Aydıntepe İlçesi, Bayburt İli).

სოფელში მდებარეობდა მონასტერი, რომელშიც ქემაჰელი ბერი გრიგორი თავის ქრონიკებში, 1600-იან წლებში გატარებულ დღეებს აღწერს. ლიტერატურიდან ცნობილი მონასტერი, ამჟამად, შემორჩენილი არაა და არც მოსახლეობას ახსოვს მისი არსებობა.

ვაჰანშენი, ციხე

ისტორიული ბაიბურთის სოფელი ვაჰანშენი, თანამედროვე ჩათიქსუ, აიდინთეფეს რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Çatıksu, Aydıntepe İlçesi, Bayburt İli).

სოფელთან, ჩრდილოეთით, შემადგენულ ბორცვზე, მდებარეობს ციხე (40°24'24.63"N; 40°04'02.39"E). ნაგებობის კედლები ნაშენია დიდი ზომის ქვის მშრალი წყობით. ციხე დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენაა დამხრობილი და ბორცვის ფერდზე ეშვება. მისგან შემორჩენილია ჩრდილოეთისა და სამხრეთის ორი გოდოლი, რომელთა შორისაც 16 მ სიგრძის და 1.7 მ სიმაღლის კედელია. ჩრდილოეთის გოდლის დიდი ნაწილი ჩაშლილია და შემორჩენილია მისი ფრაგმენტი, სამხრეთ გოდოლს სამხრეთ-დასავლეთით ჩასდევს 16 მ სიგრძის კედელი. სამხრეთით შემორჩენილი გოდოლის სიმაღლე 1.8 მეტრია, კედლის სისქე კი 3.5 მეტრამდე აღწევს.

ციხე მოხსენიებულია თურქულ ლიტერატურაში.



ზარგიდი, ხიდი

ისტორიული ზაიბურთის სოფელი ზარგიდი, თანამედროვე გუმბუზდამლა, აიდინთეფეს რაიონი, ზაიბურთის პროვინცია (Gümüşdamla, Aydıntepe İlçesi, Bayburt İli).

სოფელში, მდინარეზე, შემორჩენილია ქვის, ერთმალიანი, ხიდი (40°25'07.37"N; 40°10'28.37"E). ზომები – სიგრძე 7.5 მ, სიგანე 4.4 მ, სიმაღლე 3 მ.

ხიდი მოხსენიებულია თურქულ ლიტერატურაში.



ზაღსიკი, ეთნოგრაფიული მუზეუმი

ისტორიული ზაიბურთის სოფელი ზაღსიკი, თანამედროვე იოლალთი, ზაიბურთის ცენტრალური რაიონი, ზაიბურთის პროვინცია (Yolaltı, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფელში, ადგილობრივ მცხოვრებს, საკუთარ სახლში, მოწყობილი აქვს ეთნოგრაფიული ნივთების მუზეუმი (40°16'48.55"N; 40°08'22.06"E). აღნიშნული მასალა მისივე შეგროვებული და, ძირითადად, სახლის ეზოშია განთავსებული.



ფოტო 1. სოფელი ზაღსიკი

ზემო კირზი, ეკლესია სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით

ისტორიული ზაიბურთის სოფელი ზემო კირზი, თანამედროვე იუკარი კირზი, აიდინთეფეს რაიონი, ზაიბურთის პროვინცია (Yukari Kirzi , Aydıntepe İlçesi, Bayburt İli).

სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაახლოებით 2.7 კილომეტრზე, ხეობაში, კლდოვან თხემზე, ეკლესია მდგარა (40°24'0.81"N; 40°06'56.53"E). ამჟამად, ძეგლი განადგურებულია და ტერიტორია გადათხრილია განძის მაძიებელთა მიერ. დარჩენილია მხოლოდ ეკლესიის ქვები. იქვე, თხემზე, ქვის ნაგებობის კვალია – შესაძლოა აქ ერთზე მეტი ნაგებობა ყოფილიყო. ადგილობრივი მოსახლეობა ამ ადგილს „ვანქ დერესის“ ეძახის. ეკლესია მოხსენიებულია თურქულ ლიტერატურაში.

ამავე სოფელში მოსახლეობა ასახელებს ეკლესიას, რომელიც, სადღეისოდ, განადგურებულია.



ზემო კირზი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით

ისტორიული ბაიბურთის სოფელი ზემო კირზი, თანამედროვე იუკარი კირზი, აიდინთეფეს რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Yukari Kirzi, Aydıntepe İlçesi, Bayburt İli).

სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაახლოებით 2.1 კილომეტრზე, მაღალი კონუსური მთის წვერზე, მშრალი წყობის ნაგებობაა განთავსებული, რომელიც, ამჟამად, (40°24'12.65"N; 40°06'10.96"E) დანგრეულია, ხოლო მისი კედლები დარჩენილია ქვაცყრილის სახით. ადგილობრივი მოსახლეობა მას „გოზეთლემე კულეს“ (სათვალთვალო კოშკს) უწოდებს.

ნაგებობა მოხსენიებულია თურქულ ლიტერატურაში.



ზემო კიშლადი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის სამხრეთ-დასავლეთით

ისტორიული ბაიბურთის სოფელი ზემო კიშლადი, თანამედროვე იუკარი კიშლადი, ბაიბურთის ცენტრალური რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Yukarı kışlak, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფლის სამხრეთ-დასავლეთით, დაახლოებით 1.2 კილომეტრზე, მაღალი ბორცვის თხემზე, სადაც ამჟამად, ანძებია დამონტაჟებული, შემორჩენილია მშრალი წყობის ნაგებობა (40°06'37.37"N; 40°08'24.51"E). ძველი წრიულად შემოუყვება თხემის კიდეებს. მისი კედლები ჩაშლილია და ქვები ბორცვის ფერდზე ყრია. შემორჩენილია, სამირკვლამდე დანგრეული, კედლები, რომელთა კონტური უწყვეტად იკითხება, კედლის სისქე 1.5 მეტრიდან 2 მეტრამდეა. ალაგ-ალაგ დარჩენილია კედლის მცირე წყობებიც. კედლის შიდა მხარეს განირჩევა, მასზე მიბჯენილი, წრიული ფორმის, მცირე ზომის, ნაგებობების კვალი. ადგილობრივი მოსახლეობა ამ ადგილს „ქირქლიქ თეფესის“ უწოდებს.

ნაგებობა მოხსენიებულია თურქულ ლიტერატურაში.



ზემო ლური, ეთნოგრაფიული მუზეუმი

ისტორიული ბაიბურთის სოფელი ზემო ლური, თანამედროვე ბემპინარი, დემიროზუს რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Beşpinar, Demirözü İlçesi, Bayburt İli).

სოფელში მდებარეობს ეთნოგრაფიული მუზეუმი (40°01'49.98"N; 39°51'18.37"E), რომელიც ადგილობრივ, კერძო, პირს ეკუთვნის. მუზეუმში წარმოდგენილია ადგილობრივი ყოფა-ცხოვრების და კულტურის ამსახველი ექსპონატები.



სოფელში ფიქსირდება გორა-ნამოსახლარი (იხ. დანართი 1).

ზემო სისნე, ეკლესია სოფლის დასავლეთით

ისტორიული ზაიბურთის სოფელი ზემო სისნე, თანამედროვე იუკარი პინარლი, დემიროზუს რაიონი, ზაიბურთის პროვინცია (Yukarı pınarlı, Demirözü İlçesi, Bayburt İli).

სოფლის დასავლეთით, დაახლოებით 2.4 კილომეტრზე, ზორცვზე, სადაც მცირე კლდეა (40°09'27.24"N; 39°56'23.19"E), ადგილობრივი მოსახლეობა ასახელებს ტოპონიმ „ქილისე ქოლუს“ (ეკლესიის მკლავს), ტერიტორიაზე არტეფაქტები შემორჩენილი არ არის.

ეკლესია არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.



ფოტო 1. სოფელი ზემო სისნე



ფოტო 2. ეკლესიის ადგილი

სოფლის ჩრდილო-დასავლეთით ფიქსირდება გორა-ნამოსახლარი (იხ. დანართი 1).

ზემო ჩიმაღლი, ციხე სოფლის ჩრდილო-დასავლეთით

ისტორიული ზაიბურთის სოფელი ზემო ჩიმაღლი, თანამედროვე ზაშჩიმაღლი, ზაიბურთის ცენტრალური რაიონი, ზაიბურთის პროვინცია (Başçimağlı, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფლის ჩრდილო-დასავლეთით, დაახლოებით 2 კილომეტრზე, ზორცვის კლდოვანი თხემის თავზე, შემორჩენილია ციხე ($40^{\circ}07'14.96''N$; $40^{\circ}32'54.01''E$), რომლის ძირითადი კონსტრუქციაც დანგრეულია. კედლების დიდი ნაწილი ჩაშლილია და დარჩენილია ქვყრილის სახით. ციხის კედლები ზორცვის თხემის კიდეებს შემოუყვებოდა, რომელიც ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ დაქანებულ კლდოვან ფერდს ჩაუყვებოდა. ჩრდილო-დასავლეთით შემორჩენილია უხეშად დამუშავებული, მოზრდილი კვადრებით და დულაბით ნაგები ციხის კედლების ფრაგმენტები. კედლის სისქე 1 მეტრიდან 1.5 მეტრამდეა - სიმაღლე 0.5 მეტრს არ აღემატება. კედლები ალაგ-ალაგ გადათხრილია განძის მაძიებელთა მიერ.

ციხე არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.





ზემო ხინზავერევი, ძველი ჯამე

ისტორიული ბაიბურთის სოფელი ზემო ხინზავერევი, თანამედროვე ჩატალჩეშმე, ბაიბურთის ცენტრალური რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Çatalçeşme, Demirözü İlçesi, Bayburt İli).

სოფელში შემორჩენილია შუა საუკუნეების პერიოდის (თარიღი ცნობილი არ არის) ჯამე მინარეთით (40°12'40.63"N; 39°53'17.26"E). ჯამე აღდგენილია და მისი ინტერიერი სრულადაა მოხატული.



ზედლი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის დასავლეთით

ისტორიული ბაიბურთის სოფელი ზედლი, თანამედროვე გულლუჯე, ბაიბურთის ცენტრალური რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Güllüce, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფლის დასავლეთით, დაახლოებით 2.2 კილომეტრზე, მდებარეობს მშრალი წყობის ნაგებობა (40°07'36.38"N; 39°58'44.90"E). ძველი დანგრეულია. მისი კედლები ჩაშლილია და ქვყარილის სახითაა შემორჩენილი, რომელიც მთის თხემის ოვალურ ფორმას იმეორებს. ქვის წყობები განირჩევა ალაგ-ალაგ, ფრაგმენტულად. შიდა პერიმეტრზე, იკითხება კედელს მიბჯენილი, ათზე მეტი, ძლიერ დაზიანებული, შიდა, წრიული ნაგებობის კვალი. ადგილობრივი მოსახლეობა შენობას „კალეს“ (ციხეს) უწოდებს.

ნაგებობა არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.





თავუქვანქი, ეკლესია სოფლის სამხრეთ-დასავლეთით

ისტორიული ზაიბურთის სოფელი თავუქვანქი, თანამედროვე იერლიჯე, ზაიბურთის ცენტრალური რაიონი, ზაიბურთის პროვინცია (Yerlice, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფლის სამხრეთ-დასავლეთით, დაახლოებით 1.5 კილომეტრზე, კლდის თხემზე, ეკლესია მდგარა (40°17'06.64"N; 40°19'35.03"E). ამჟამად, ძეგლი განადგურებულია. ის გადათხრილია განძის მაძიებელთა მიერ. ადგილზე დარჩენილია ეკლესიის ქვები, მათ შორის შირიმის ქვა და დიდი რაოდენობით კერამიკის ნატეხები. ჩანს, ტაძარი კლდეზე იყო დაშენებული, მისი ზედაპირი საგანგებოდაა მოსწორებული და ასევე მასში გამოკვეთილი არქიტექტურული დეტალი, სავარაუდოდ ბაზისი, რომელიც შესაძლოა ტაძრის ნაწილს წარმოადგენდა.

ეკლესია მოხსენიებულია თურქულ ლიტერატურაში.



სოფელში შემორჩენილია ძველი ჯამე (40°17'54.23"N; 40°20'05.73"E).



თუთუზარი, ეკლესია სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით და თურბები

ისტორიული ბაიბურთის სოფელი თუთუზარი, თანამედროვე ერენლი, ბაიბურთის ცენტრალური რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Erenli, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაახლოებით 1.8 კილომეტრზე, ნასახლარებია. ამ ადგილს მოსახლეობა „აიაზმას“ უწოდებს და მის ტერიტორიაზე ეკლესიის არსებობას ადასტურებს (40°16'36.37"N; 40°15'31.73"E). ამჟამად, მისი არტეფაქტები შემორჩენილი არ არის.

ეკლესია არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.



ფოტო 1. „აიაზმას“ ნასახლარის ტერიტორია

სოფელში შემორჩენილია ორი თურბე - ერთი სოფელში მდებარეობს (40°15'48.68"N; 40°14'37.84"E), ხოლო მეორე - მაღალი მთის თხემზე (40°15'30.28"N; 40°14'55.75"E), სადაც ასევე ძველი სასაფლაოა.



იაკუბაბდალი, თურბე სოფლის ჩრდილო-დასავლეთით

ისტორიული ბაიბურთის სოფელი იაკუბაბდალი, თანამედროვე იაკუპაბდალი, დემიროზუს რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Yakupabdal, Demirözü İlçesi, Bayburt İli).

სოფლის ჩრდილო-დასავლეთით, დაახლოებით 1 კილომეტრზე, მაღალი მთის წვერზე, მდებარეობს თურბე (აკლდამა) (40°04'26.78"N; 39°42'50.70"E), რომელიც შიგნიდან მოხატულია, ხოლო გარეთ კი, კარის თავზე, არაბულენოვანი წარწერაა განთავსებული.



სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით ფიქსირდება გორა-ნამოსახლარი (იხ. დანართი 1).

იღდირი, ძველი ჯამე და წყარო

ისტორიული ბაიბურთის სოფელი იღდირი, თანამედროვე იღდირი, ბაიბურთის ცენტრალური რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (İğdir, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფლის აღმოსავლეთით მდებარეობს ძველი იღდირის ნასახლარები, სადაც შემორჩენილია ძველი ჯამეს შენობა (40°12'06.65"N; 40°42'01.86"E) და წყაროს ნაგებობა.

სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მთავარ გზასთან, მდებარეობს ხის ძველი ხიდი, (40°11'20.76"N; 40°40'28.52"E), რომელიც დაფიქსირებულია თურქულ ლიტერატურაში.





იშხანისორი, ეკლესია

ისტორიული ბაიბურთის სოფელი იშხანისორი, თანამედროვე დევეთაში, დემიროზუს რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Devetaşı, Demirözü İlçesi, Bayburt İli).

სოფელში მდგარა ეკლესია ($40^{\circ}05'08.66''N$; $39^{\circ}50'58.66''E$), რომელიც, ამჟამად, განადგურებულია და მის ადგილას საცხოვრებელი სახლია აგებული. ადგილობრივი მოსახლეობა ადასტურებს კიდევ ერთი ეკლესიის არსებობას და უთითებს მისი მდებარეობის ადგილს.

ეკლესია არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.



ფოტო 1. სახლი ეკლესიის ადგილას

კარავერაგი, ეკლესია

ისტორიული ბაიბურთის სოფელი კარავერაგი, თანამედროვე სანჯაკთეფე, ბაიბურთის ცენტრალური რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Sancaktepe, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფელში მდებარეობს ეკლესია ($40^{\circ}10'48.22''N$; $40^{\circ}05'40.59''E$), რომელიც გადაკეთებულია ჯამედ (მიახლოებითი ზომები: 21×11 მ, სიმაღლე – 6 მ). ტაძარი სამნავიანი ბაზილიკის ტიპისაა და სრულადაა შემორჩენილი. ძეგლი რესტავრირებულია. ინტერიერი შელესილია და მოწყობილია ჯამე. აღმოსავლეთით, საკურთხევლის მხარე მონგრეულია და ამოყვანილია კედელი, თუმცა აღმოსავლეთით შემორჩა კედლის მომრგვალების ფრაგმენტი, რომელიც გადახურულია და საწყობად გამოიყენება. ეკლესიაში შესასვლელი კარი გაჭრილია ჩრდილოეთით და დასავლეთით. სამხრეთით 2 სარკმელია, რომელიც მოჩარჩოებულია ქვის დეკორით. ანალოგიური, ორი სარკმელია დასავლეთ კედელზეც და ერთი პატარა სარკმელი კედლის ზედა ნაწილში. ტაძრის დასავლეთ ფასადზე ჩასმულია საგანგებოდ მოჩარჩოებული ქვა (1.4×0.5 მ), რომელზეც წარწერა ყოფილა. ამჟამად, წარწერა გადაფხევილია - მკრთალად იკითხება ერთი გრაფემა. სამხრეთ კედელზე, კარის დასავლეთით ჩასმულია მოვარდისფრო, ორნამენტური, ქვა. ტაძარს, ზედა ნაწილში, გარშემო შემოუყვება ქვის, ორნამენტური, საწვიმარი ღარები. ტაძრის ინტერიერში წრიული სვეტებია განთავსებული. კაპიტელები გაფორმებულია მარტივი დეკორებით. აღმოსავლეთით, მხოლოდ საკურთხევლის

სამხრეთი სვეტის კაპიტელია განსხვავებული ორნამენტით გაფორმებული. აღმოსავლეთით გაჭრილია ნიშები, რომლებსაც, ამჟამად, დეკორაციული დატვირთვა აქვს და მოხატულია. ჩრდილოეთი კედლის ნიში გამოყენებულია სათავსოდ. ეკლესია ჯამედ 1933 წელს გადაუკეთებიათ.

ეკლესია მოხსენიებულია თურქულ ლიტერატურაში.



გადაფხვილი წარწერის ფილა.



სოფლის სამხრეთით ფიქსირდება გორა-ნამოსახლარი (იხ. დანართი 1).

კარავერანი, ეკლესია

ისტორიული ზაიბურთის სოფელი კარავერანი, თანამედროვე თეფეთარლა, ზაიბურთის ცენტრალური რაიონი, ზაიბურთის პროვინცია (Tepetarla, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფელში, ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციით, ძველი ნასოფლარის ტერიტორიაზე, ეკლესია მდგარა, თუმცა ზუსტ ადგილს ვერ უთითებენ. ამჟამად, ძველი განადგურებულია. არტეფაქტები შემორჩენილი არ არის.

ეკლესია არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.



ფოტო 1. სოფელი კარავერანი

კერტასორი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის ჩრდილო-დასავლეთით

ისტორიული ზაიბურთის სოფელი კერტასორი, თანამედროვე კოზლუქი, ზაიბურთის ცენტრალური რაიონი, ზაიბურთის პროვინცია (Kozluk, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფლის ჩრდილო-დასავლეთით, დაახლოებით 1 კილომეტრზე, მაღალი მთის კლდოვან თხემზე, მშრალი წყობის ნაგებობაა აშენებული (40°28'59.24"N; 40°16'33.04"E), რომელიც სრულად დანგრეულია. კედელთა წყობა შემორჩენილი არ არის – დარჩენილია ქვაცირილები.

ნაგებობა არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.



კესტესი, ეკლესია

ისტორიული ზაიბურთის სოფელი კესტესი, თანამედროვე ალიჩლიკი, ზაიბურთის ცენტრალური რაიონი, ზაიბურთის პროვინცია (Aliçlık, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფელში, ადგილობრივი მოსახლეობა ადასტურებს ეკლესიის არსებობას და უთითებს მისი მდებარეობის ლოკაციას (40°20'12.45"N; 40°12'18.39"E). ამჟამად, მის ადგილას საცხოვრებელი სახლებია - ძველის არტეფაქტები კი შემორჩენილი არ არის.

ეკლესია არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.



ფოტო 1. სოფელი კესტესი



ფოტო 2. სახლი ეკლესიის ადგილას

კილხოსი, ციხე

ისტორიული ბაიბურთის სოფელი კილხოსი, თანამედროვე ფინარგოზუ, აიდინთეფეს რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Pınargözü, Aydıntepe İlçesi, Bayburt İli).

სოფელში, შემადღებული ბორცვის თავზე, ადგილობრივი მოსახლეობა ასახელებს ციხეს (40°25'31.00"N; 40°00'51.59"E), თუმცა ადგილზე არაფერია დარჩენილი. მოსახლეობა მას „კალე ბოინას“ (ციხის ყელს) უწოდებს.

ციხე არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.



ფოტო 1. სოფელი კილხოსი

კილხოსი, ციხე სოფლის სამხრეთით

ისტორიული ბაიბურთის სოფელი კილხოსი, თანამედროვე ფინარგოზუ, აიდინთეფეს რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Pınargözü, Aydıntepe İlçesi, Bayburt İli).

სოფლის სამხრეთით, დაახლოებით 1.8 კილომეტრზე, მაღალ, კლდოვან თხემზე, მდებარეობს ციხე ეკლესიით (40°24'28.33"N; 40°01'06.74"E). ნაგებობის კედლები სრულად დანგრეულია, ქვები კლდის ძირშია ქვაცრილის სახით დარჩენილი. ციხის შიდა სივრცეში, კლდის ქიმზე ეკლესია დგას, რომელიც ტრიკონქის ან ტეტრაკონქის ტიპის უნდა იყოს. მისგან შემორჩენილია მხოლოდ ჩრდილოეთ კონქის ნაწილი. ჩანს, აღმოსავლეთით მას სუბსტრუქცია ჰქონდა, იკითხება ძლიერ დაზიანებული კედლის ფრაგმენტი. ტაძარი ნაგები ყოფილა საშუალო ზომის, უხეშად დამუშავებული, კვადრებით. კონქში განირჩევა შელესილობისა და მოხატულობის კვალი – დარჩენილია წითელი ფერის პიგმენტები

(ეკლესიის სიმაღლე 4 მ, სიგანე 4 მ). ეკლესიის დასავლეთით, კლდეში, ბუნებრივი წყლის ოთხკუთხა ავზია ამოღებული (3.5×2.8 მ, სიღრმე 2.5 მ). ციხის ძირში, დასავლეთით ნასახლარების კვალია და კლდეზე ნაკაწრი, მარტივი ჯვრებია. აღნიშნულ ტერიტორიაზე უხვადაა კერამიკის ფრაგმენტები.

ციხე არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.



ფოტო 1. ციხის მდებარეობა



ფოტო 2. ეკლესიის ჩრდ. კონქის ნაწილი



ფოტო 3, 4. ძლიერ დაზიანებული ციხე და ეკლესია



ფოტო 5. ეკლესიის კონქის ნაშთი, შიდა მხარე



ფოტო 6. წყლის ავზი



ფოტო 7. ნასახლარები ციხის დას.-ით



ფოტო 8. ნაკაწრი ჯვრები კლდეზე



ფოტო 9, 10. კერამიკის ფრაგმენტები ციხის ტერიტორიაზე

კიტრე, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის დასავლეთით

ისტორიული ბაიბურთის სოფელი კიტრე, თანამედროვე კიტრე, ბაიბურთის ცენტრალური რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Kitre, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფლის დასავლეთით, დაახლოებით 1.4 კილომეტრზე, ბორცვის თხემზე, მდებარეობს მშრალი წყობის მქონე ნაგებობა (40°18'24.89"N; 39°50'56.25"E), რომელიც სრულიად დანგრეულია. მისი კედლების ნაწილი დარჩენილია ქვყარილის სახით, რომელიც ბორცვის თხემის კიდეებს შემოუყვება. ძირითადად განირჩევა მისი სამირკვლის კონტური, რომელიც მიწითაა დაფარული.

ნაგებობა არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.



კიტრე, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის სამხრეთით, 1.8 კმ.-ზე

ისტორიული ბაიბურთის სოფელი კიტრე, თანამედროვე კიტრე, ბაიბურთის ცენტრალური რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Kitre, Bayburt Merkez İlçesi Bayburt İli).

სოფლის სამხრეთით, დაახლოებით 1.8 კილომეტრზე, ბორცვის თხემზე, მდებარეობს მშრალი წყობის ნაგებობა (40°17'36.87"N; 39°51'47.67"E), რომელიც სრულიად დანგრეულია. მისი კედლები დარჩენილია ქვყარილის სახით, რომლებიც ჩაყრილია ბორცვის ძირში. განირჩევა მხოლოდ აღმოსავლეთით, კედლის პირველი წყობის კვალი. ადგილზე დაფიქსირდა კერამიკის ფრაგმენტები. ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციით აქ ეკლესია ყოფილა, თუმცა ადგილზე არსებული არტეფაქტებით ეს მონაცემები არ დასტურდება.

ნაგებობა არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.




სოფლის სამხრეთით ფიქსირდება გორა-ნამოსახლარი (იხ. დანართი 1).

კიტრე, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის სამხრეთით, 4.7 კმ.-ზე

ისტორიული ბაიბურთის სოფელი კიტრე, თანამედროვე კიტრე, ბაიბურთის ცენტრალური რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Kitre, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფლის სამხრეთით, დაახლოებით 4.7 კილომეტრზე, მაღალი ბორცვის თხემზე, მდებარეობს მშრალი წყობის ნაგებობა ($40^{\circ}16'7.07''N$; $39^{\circ}52'51.09''E$), რომელიც სრულიად დანგრეულია. მისი კედლები დარჩენილია ქვაყრილის სახით, რომელიც ბორცვის თხემის კიდეებს შემოუყვება. ადგილობრივი მოსახლეობა ამ ადგილს „გიაურ ორენს“ უწოდებს.

ნაგებობა არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.



კიტრე, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის ჩრდილო-დასავლეთით

ისტორიული ბაიბურთის სოფელი კიტრე, თანამედროვე კიტრე, ბაიბურთის ცენტრალური რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Kitre, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფლის ჩრდილო-დასავლეთით, დაახლოებით 1.2 კილომეტრზე, მაღალი მთის თხემზე, მდებარეობს მშრალი წყობის ნაგებობა ($40^{\circ}18'49.39''N$; $39^{\circ}51'6.44''E$). ნაგებობას ოვალური ფორმა აქვს და თხემის კიდეებს შემოსდევს. მისი კედლების დიდი ნაწილი ჩაშლილია, თუმცა კარგად განირჩევა სხვადასხვა სიმაღლის კედლის წყობები. ნაგებობას ორმაგი გალავანი ჰქონია და გარე კედელი

ებჯინება შიდა კედელს. ნაგებობის ჩრდილო-დასავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით დარჩენილია, საშუალოდ, 1,5 მეტრამდე, მშრალი წყობით ნაგები, ქვის კედლები. შიდა სივრცეში კარგად განირჩევა ოთხკუთხა და წრიული ნაგებობების ერთ რიგად ნაშენი მწკრივები, რომლებიც ებჯინება ჩრდილო-დასავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთის კედლებს. შენობებს შორის დატოვებულია გასავლელი – სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ (ნაგებობის მიახლოებითი ზომები: სიგძე 65 მ, სიგანე 30 მ, გარშემოწერილობა 190 მ). ადგილობრივი მოსახლეობა ნაგებობას „კალეს“ (ციხეს) უწოდებს.

ნაგებობა მოხსენიებულია თურქულ ლიტერატურაში.



კონდოლოთი, ეკლესია სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით

ისტორიული ზაიბურთის სოფელი კონდოლოთი, თანამედროვე დაღჯათი, ზაიბურთის ცენტრალური რაიონი, ზაიბურთის პროვინცია (Dağçatı, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაახლოებით 2.5 კილომეტრზე, ბორცვის ფერდზე, მდებარეობს ეკლესია (40°23'34.50"N; 39°56'18.38"E). ნაგებობა დანგრეულია, თუმცა შესაძლებელია გეგმის აღდგენა. შვერილაფსიდიანი, დარბაზული ტიპის ეკლესიიდან უკეთაა დარჩენილი ჩრდილო-დასავლეთ კედლის ნაწილი, რომელიც ყველაზე უკეთ შემორჩენილ კედელს წარმოადგენს, მისი სიმაღლე 1.7 მეტრია. აგრეთვე, იკითხება საკურთხევლის მომრგვალების ნაწილი. მისი დანარჩენი კედლები დაფარულია ეკლესიისვე ქვებით. ტამარი ჩანს, მოხატული ყოფილა, ჩრდილო-დასავლეთ კედლის ინტერიერში, კუთხეში, შემორჩენილია კედლის მხატვრობის ფრაგმენტი. ადგილობრივი მოსახლეობა ამ ადგილს „ვანქს“ უწოდებს.

ეკლესია არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.



კოპი, ძველი ჯამე და მემორიალი

ისტორიული ზაიბურთის სოფელი კოპი, თანამედროვე კოპი, ზაიბურთის ცენტრალური რაიონი, ზაიბურთის პროვინცია (Kop, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფელში შემორჩენილია XIX საუკუნის ჯამე (40°03'01.21"N; 40°25'42.82"E). ამავე სოფლიდან აღმოსავლეთით, დაახლოებით 2.5 კილომეტრზე, მდებარეობს მღვიმეები (40°03'12.95"N; 40°27'25.62"E), სავარაუდოდ ბუნებრივი, რომელიც ნახსენებია თურქულ ლიტერატურაში.

ასევე, სოფლიდან აღმოსავლეთით, დაახლოებით 8.3 კილომეტრზე, ერზრუმი-ზაიბურთის პროვინციების საზღვარზე, მდებარეობს პირველ მსოფლიო ომში დაღუპული ჯარისკაცებისადმი მიძღვნილი ხსოვნის მემორიალი (40°01'36.19"N; 40°31'11.48"E).



ფოტო 1. სოფელი კოპი



ფოტო 2. ძველი ჯამე



ფოტო 3. ჯამეს შიდა გადახურვა



ფოტო 4. მემორიალი



ფოტო 5, 6. მღვიმეები სოფელთან

კოშკორი, ეკლესია და წყარო

ისტორიული ზაიბურთის სოფელი კოშკორი, თანამედროვე ქემერთაში, ზაიბურთის ცენტრალური რაიონი, ზაიბურთის პროვინცია (Kemertaş, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფელში, ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციით ეკლესია მდგარა, თუმცა ზუსტ ადგილს ვერ უთითებენ. ამჟამად, ძეგლი განადგურებულია. არტეფაქტები შემორჩენილი აღარაა.

ეკლესია არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

ამავე სოფელში წყაროს ძველი ნაგებობაა შემორჩენილი.



ფოტო 1. სოფელი კომკორი



ფოტო 2. წყაროს ნაგებობა

ლუსენქი, ეკლესიები

ისტორიული ზაიბურთის სოფელი ლუსენქი, თანამედროვე იაილაფინარი, ზაიბურთის ცენტრალური რაიონი, ზაიბურთის პროვინცია (Yaylapınar, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფელში, ჩრდილო-დასავლეთით, ბორცვზე, ეკლესია ყოფილა აგებული ($40^{\circ}14'45.71''N$; $40^{\circ}27'31.93''E$), რომელიც ამჟამად განადგურებულია. მის ადგილას დარჩენილია ეკლესიის ქვები და კედლების მცირე კონტურები. ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციით ეკლესია დაახლოებით 1955-1960 წლებში დანგრეულა. მისი ქვები გამოყენებულია სოფლის ჯამეს მშენებლობაში.

ეკლესია არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.



ამავე სოფელში მეორე ეკლესიაც ყოფილა, რომელიც ამჟამად, ასევე, განადგურებულია. მოსახლეობამ გადმოცემით იცის მის შესახებ და ვერ უთითებს ზუსტ ლოკაციას.

მადენჰანლარი, ხიდი

ისტორიული ზაიბურთის სოფელი მადენჰანლარი, თანამედროვე მადენი, ზაიბურთის ცენტრალური რაიონი, ზაიბურთის პროვინცია (Maden, Bayburt İlçesi, Bayburt İli).

სოფელში, მდინარეზე შემორჩენილია ერთმალისანი ხიდი (40°11'00.73"N; 40°24'02.21"E). ზომები: სიგრძე 50 მ, სიგანე 7 მ, სიმაღლე 6 მ.

ხიდი მოხსენიებულია თურქულ ლიტერატურაში.



მალასა, ეკლესია სოფლის სამხრეთით

ისტორიული ზაიბურთის სოფელი მალასა, თანამედროვე აიდინჯიკი, ზაიბურთის ცენტრალური რაიონი, ზაიბურთის პროვინცია (Aydıncık, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფლის სამხრეთით, დაახლოებით 3.3 კილომეტრზე, ხეობაში, ბორცვზე, შემორჩენილია ეკლესია (40°19'27.66"N; 40°18'58.03"E). ნაგებობა ძლიერაა დაზიანებული. ის გადათხრილია განძის მაძიებელთა მიერ, მისი სივრცე ამოვსებულია მისივე ნაშალი კედლების ქვებით და მიწით. გეგმის აღდგენა ნაწილობრივ ხერხდება. სავარაუდოდ, ეკლესია შვერილაფსიდიანი, დარბაზული ტიპისა უნდა იყოს, რომელსაც ჩრდილოეთით და, სავარაუდოდ, სამხრეთით, მინაშენები ჰქონია. ეკლესიის სიგრძე, დაახლოებით 10 მეტრია. შემორჩენილია ჩრდილოეთ მინაშენის 1.5 მეტრამდე სიმაღლის კედლები. მათი სიგანე 0.9 მეტრია. განირჩევა აფსიდის მომრგვალების, მიწის დონემდე დანგრეული, კედელი. ასევე, ალაგ-ალაგ იკითხება სამხრეთი მინაშენის კედლის ფრაგმენტებიც. ეკლესია ნაშენი ყოფილა უხეშად დამუშავებული ქვით და დუღაბით. ადგილობრივი მოსახლეობა ამ ადგილს „მირეზგის“ უწოდებს.

ეკლესია მოხსენიებულია თურქულ ლიტერატურაში.





სოფლის სამხრეთით, დაახლოებით 3.8 კილომეტრზე, ეკლესიის დასავლეთით, მაღალი კლდეა (40°19'13.99"N; 40°18'42.74"E), რომელსაც მოსახლეობა „კალე თაშს“ (ციხის კლდეს) ეძახის. რაიმე სახის არტეფაქტი შემორჩენილი არ არის.



მამი, ეკლესია და კოშკი (?) სოფლის სამხრეთ-დასვლეთით

ისტორიული ბაიბურთის სოფელი მამი, თანამედროვე დელირმენჯიკი, ბაიბურთის ცენტრალური რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Değirmencik, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფელში, ადგილობრივი მოსახლეობა ადასტურებს ეკლესიის არსებობას, თუმცა ზუსტ ადგილს ვერ უთითებენ. ამჟამად, ძეგლი განადგურებულია. არტეფაქტები შემორჩენილი არ არის.

ამავე სოფლის სამხრეთ-დასავლეთით, დაახლოებით 2.5 კილომეტრზე, მთის თავზე, მოსახლეობა ასახელებს კოშკს (40°20'49.72"N; 40°13'9.91"E), რომელიც გადათხრილია განძის მაძიებელთა მიერ და მისი გეგმის აღდგენა ვერ ხერხდება.

ეკლესია და კოშკი (?) არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

სოფელში, ასევე ფიქსირდება 1900 წელს აგებული ჯამე.



ფოტო 1. ეკლესიის სავარაუდო ადგილი



ფოტო 2. სოფელი მამი და ჯამე



ფოტო 3. თხემი, სადაც კომპი (?) უნდა ყოფილიყო

მასდადი, თურბე სოფლის აღმოსავლეთით

ისტორიული ბაიბურთის სოფელი მასდადი, თანამედროვე მასათი, ბაიბურთის ცენტრალური რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Masat, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფლის აღმოსავლეთით, დაახლოებით 2 კილომეტრზე, სასაფლაოს ტერიტორიაზე, დგას თურბე ($40^{\circ}11'51.56''N$ $40^{\circ}34'11.05''E$), რომელიც თურქი მემატინანის დედე კორკუტისაა. იგი მოღვაწეობდა ადრე შუა საუკუნეებში (ზუსტი თარიღი უცნობია).



მალარა, მშრალი წყობის ნაგებობა

ისტორიული ბაიბურთის სოფელი მალარა, თანამედროვე იენიქოი, ბაიბურთის ცენტრალური რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Yeniköy, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფელთან, ჩრდილოეთით, მაღალი ბორცვის თხემზე მშრალი წყობის მქონე ნაგებობაა განთავსებული ($40^{\circ}03'27.08''N$; $40^{\circ}10'19.35''E$). მისი ძირითადი კონსტრუქცია ჩაშლილია და დარჩენილია ქვანაგებობის სახით. ალაგ-ალაგ შეიმჩნევა კედლის ფრაგმენტული წყობა. ადგილობრივი მოსახლეობა ნაგებობას „გალას“ უწოდებს, რაც იგივე კალეა (ციხე).

ნაგებობა არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.





მინასი, ეკლესია სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით

ისტორიული ბაიბურთის სოფელი მინასი, თანამედროვე მინასი, ბაიბურთის ცენტრალური რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Manas, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაახლოებით 1 კილომეტრზე, ადგილობრივი მოსახლეობა ადასტურებს ეკლესიის არსებობას და უთითებს მისი მდებარეობის ადგილს (40°16'08.22"N; 39°56'08.31"E), თუმცა, ამჟამად, ის განადგურებულია და რაიმე სახის არტეფაქტი შემორჩენილი არ არის.

ეკლესია არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.



ფოტო 1. სოფელი მინასი



ფოტო 2. ეკლესიის ადგილი

მონასტერი (სოფ.), ეკლესია

ისტორიული ბაიბურთის სოფელი მონასტერი, თანამედროვე იემილიურტი, ბაიბურთის ცენტრალური რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Yeşilyurt, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფელში მდებარეობს ეკლესია (40°10'38.02"N; 40°14'34.81"E), (ზომები: სიგრძე 5.7 მ; სიგანე 2.9 მ; სიმაღლე 3.95 მ; საკურთხევლის სიღრმე 1.7 მ). მისი კონსტრუქციის ძირითადი ნაწილი კარგადაა შემორჩენილი. ტაძარი ნაგებია უხეშად დამუშავებული ქვით და აგურით. დარჩენილია კამაროვანი გადახურვა. კარის ღიობი გაჭრილია ჩრდილოეთ ნაწილში. ინტერიერში შეინიშნება გვიანდელი შეკეთების კვალი. კერძოდ, მოგვიანებით დამატებულია საკურთხეველსა და ცენტრალურ ნაწილში აგურის თაღები (სიგანე: 0.5 მ). ეს უკანასკნელი ეყრდნობა თაღისთვის გამართულ ქვის შვერილებს. ჩანს, თაღების გადასაცვანად გამოუყენებიათ ხის საყრდენები, რომლებიც კედლებშია ჩატანებული. ეკლესიას სამხრეთით მინაშენი ჰქმონია, რომლის დიდი ნაწილი, ამჟამად, დანგრეულია. ეკლესიის სამხრეთ ნაწილში გაჭრილი ყოფილა კარი (სიმაღლე: 1.35 მ; სიგანე: 1 მ), რომელიც მინაშენს

უკავშირდებოდა. ეს უკანასკნელი, სადღეისოდ, ამოშენებული და შელესილია ეკლესიის ინტერიერის მხრიდან. კარის თავზე აგურის მცირე თაღია. მინაშენიდან შემორჩენილია 3 მეტრამდე სიგრძის გარე კედელი, ხოლო ინტერიერი ამოვსებულია ნაგებობის ნანგრევებით და გეგმა არ იკითხება.

ეკლესიის აღმოსავლეთ ნაწილში, საკურთხეველში, გაჭრილია სარკმელი, რომელსაც ექსტერიერში მარტივი დეკორის მქონე სარკმლის წარბი ამკობს. სარკმელია აგრეთვე დასავლეთ კედელში, თუმცა ის მონგრეულია. საკურთხეველში, სამხრეთით, მოგრძო ნიშია. მცირე ნიშებია სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლებშიც. ტაძარი მთლიანად მოხატული ყოფილა, თუმცა მოგვიანებით ის შეუღესავთ. შელესილობის ნაწილი ჩამოშლილია, რა დროსაც გამოვლინდა მხატვრობის ძლიერ დაზიანებული ფრაგმენტები. მოხატულობის კვალი უკეთაა დარჩენილი საკურთხეველში, სადაც განირჩევა ნაკაწრი წარწერის ათზე მეტი გრაფემა. პიგმენტები დარჩენილია საკურთხეველში გაჭრილ სარკმელში, როგორც შიდა მხარეს, აგრეთვე ექსტერიერში. ჩანს, სამხრეთ მინაშენიც მოხატული ყოფილა. მოხატულობის ფრაგმენტები შემორჩენილია მინაშენის ჩრდილოეთ მხარეს, სადაც აგრეთვე განირჩევა სომხურენოვანი ნაკაწრი წარწერის რამდენიმე გრაფემა.

ეკლესია მოხსენიებულია ლიტერატურაში.



ფოტო 1, 2. ეკლესია, ექსტერიერი



ფოტო 3. ინტერიერი, საკურთხეველი



ფოტო 4. ინტერიერი, კარი ჩრდ.-დას.-ით



ფოტო 5. ინტერიერი, გვიანდელი თაღის დეტალი



ფოტო 6. ექსტერიეტი, სამხრ.-ის მინაშენი



ფოტო 7. სამხ.-ის მინაშენი და კარის ღიობი



ფოტო 8. ნაკაწრი წარწერა საკურთხეველში



ფოტო 9. ნაკაწრი წარწერა სამხ. მინაშენში



ფოტო 10. მოხატულობის კვალი სარკმელში

სოფელ მონასტერსა და არუზკას (Göğpınar) შორის ადგილობრივთა თქმით არის ადგილი, რომელსაც ქვია „ქილისე“ (ეკლესია), სადაც მათივე ინფორმაციით, არტეფაქტი არაა და არ ახსოვთ რაიმე ნაგებობის არსებობა. ადგილის ზუსტი მდებარეობა ვერ დადგინდა.

მონასტერი (სოფ.), მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის აღმოსავლეთით

ისტორიული ბაიბურთის სოფელი მონასტერი, თანამედროვე იეშილიურტი, ცენტრალური რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Yeşilyurt, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფლის აღმოსავლეთით, დაახლოებით 1.3 კილომეტრზე, შემადღებულ ბორცვზე, მდებარეობს მშრალი წყობის ნაგებობა (40°10'52.15"N; 40°15'36.22"E). ნაგებობა დანგრეულია. მისი ქვები ბორცვის ძირშია ჩაყრილი. სამხრეთით დარჩენილია კედლის წყობის მცირე კვალი - ქვის წყობის ერთი რიგი. ტერიტორიაზე მრავლადაა კერამიკის ფრაგმენტები. ადგილობრივი მოსახლეობა ნაგებობას „ჯინი კალესის“ (ჯინების ციხეს) უწოდებს.

ნაგებობა მოხსენიებულია თურქულ ლიტერატურაში.





მოლონოდი, ეკლესიები

ისტორიული ზაიბურთის სოფელი მოლონოდი, თანამედროვე პეტეკკაია, ზაიბურთის ცენტრალური რაიონი, ზაიბურთის პროვინცია (Petekkaya, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფელში, ადგილობრივი მოსახლეობა ადასტურებს სამი ეკლესიის არსებობას - სამივე მათგანი განადგურებულია. ერთი ეკლესია სოფელში მდგარა ($40^{\circ}10'28.89''N$; $40^{\circ}38'39.35''E$), მის ადგილას ახლა საცხოვრებელი სახლებია განთავსებული.

სოფლის ჩრდილო-დასავლეთით, დაახლოებით 1 კილომეტრზე, ბორცვზე მეორე ეკლესია ყოფილა ($40^{\circ}10'41.68''N$; $40^{\circ}38'08.07''E$), თუმცა მის ადგილას ეკლესიის ქვები და დიდი რაოდენობით კერამიკის ფრაგმენტებია დარჩენილი. ასევე, ეკლესია ყოფილა აგებული სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით, კლდეებთან, ძველ ნასოფლარზე.

ეკლესიები არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.



ფოტო 1. ეკლესიის ადგილი სოფელში



ფოტო 2. ეკლესიის ადგილი სოფლის ჩრდ-დას.-ით



ფოტო 3, 4. კერამიკის ფრაგმენტები

ნივი, ეკლესია

ისტორიული ბაიბურთის სოფელი ნივი, თანამედროვე არფალი, ბაიბურთის ცენტრალური რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Arpalı, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფელში, ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციით ეკლესია მდგარა, თუმცა ზუსტ ადგილს ვერ უთითებენ. ამჟამად, ძეგლი განადგურებულია. არტეფაქტები შემორჩენილი აღარაა.

ეკლესია არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.



ფოტო 1. სოფელი ნივი

ორსორი, ეკლესია

ისტორიული ბაიბურთის სოფელი ორსორი, თანამედროვე იონჯალი, ბაიბურთის ცენტრალური რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Yoncalı, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფელში, სასაფლაოს ტერიტორიაზე, ეკლესია მდგარა. ადგილობრივები უთითებენ მის დაახლოებით არეალს (40°29'50.03"N; 40°33'50.74"E). ამჟამად, ძეგლი განადგურებულია. არტეფაქტები შემორჩენილი აღარაა.

ეკლესია არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.



ფოტო 1. სოფელი ორსორი

ორსორი, ციხე სოფლის სამხრეთით

ისტორიული ზაიბურთის სოფელი ორსორი, თანამედროვე იონჯალი, ზაიბურთის ცენტრალური რაიონი, ზაიბურთის პროვინცია (Yoncalı, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფლის სამხრეთით, დაახლოებით 4.3 კილომეტრზე, მაღალი, კლდოვანი კანიონის ერთ-ერთ თხემზე, ადგილობრივი მოსახლეობა ადასტურებს ციხის არსებობას და მას „კიზ კალედ“ (გოგოს ციხედ) მოიხსენიებს (40°27'28.86"N; 40°32'45.42"E). მათივე ინფორმაციით ციხე დულაბით ყოფილა ნაშენი. ნაგებობა სრულად დანგრეულია. ადგილზე არტეფაქტები შემორჩენილი აღარაა.

ციხე არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.



ორსორი, ციხე ჩრდილო-აღმოსავლეთით

ისტორიული ზაიბურთის სოფელი ორსორი, თანამედროვე იონჯალი, ზაიბურთის ცენტრალური რაიონი, ზაიბურთის პროვინცია (Yoncalı, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაახლოებით 1.7 კილომეტრზე, მაღალი, კლდოვანი კონცხის თავზე, მშრალი წყობის ციხეა განთავსებული (40°30'28.87"N; 40°34'25.32"E). ამჟამად, მისი კედლები ჩაშლილია და დარჩენილია ქვყარილის სახით. (ციხე მდებარეობს ძეგლის „ორსორი, ციხე სოფლის ჩრდილოეთით“ აღმოსავლეთით, თითქმის მის სიმაღლეზე).

ციხე არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.



ორსორი, ციხე სოფლის ჩრდილოეთით

ისტორიული ზაიბურთის სოფელი ორსორი, თანამედროვე იონჯალი, ზაიბურთის ცენტრალური რაიონი, ზაიბურთის პროვინცია (Yoncalı, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფლის ჩრდილოეთით, დაახლოებით 1.6 კილომეტრზე, მაღალი მთის კლდოვან წვერზე, შემორჩენილია მასშტაბური, მშრალი წყობის მქონე ციხე ($40^{\circ}30'30.50''N$; $40^{\circ}33'35.16''E$). ციხის კედელი სამხრეთ-დასავლეთიდან, მისი ყველაზე მაღალი ნაწილიდან, ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ, მკვეთრად დაქანებულ ფერდზე ეშვება. მისი ძირითადი კონსტრუქცია შემორჩენილია და იკითხება გეგმა. სამხრეთ-დასავლეთი კედლის სიგრძე 80 მეტრზე მეტია და ყველაზე უკეთ შემორჩენილ ნაწილს წარმოადგენს. კედლების სიმაღლე 4 მეტრამდეა, ხოლო სისქე 2 მეტრიდან 2.5 მეტრამდეა. ნაგებია მშრალი წყობის, მოზრდილი ქვით. კედლებს შორის სივრცე ამოვსებულია შედარებით მცირე ზომის ქვებით. კედლებში ჩართულია ბუნებრივი კლდე. კედელი კლდის უსწორმასწორო რელიეფს ზედმიწევნით შემოსდევს, ამის გამო, რამდენიმე ადგილას კედელი მომრგვალებულ ფორმას, ზოგან კი კუთხეს ქმნის. ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთით შემორჩენილი წყობის სიმაღლე 4 მეტრიდან 5 მეტრამდეა და ალაგ-ალაგ ჩაშლილია. ზედა და ქვედა კედლებს შორის მანძილი დაახლოებით 35 მეტრია. ნაგებობის ქვები მთის კლდოვან ფერდზეა ჩაყრილი. სამხრეთ-აღმოსავლეთით და ჩრდილო-დასავლეთით ციხის კედლებს ბუნებრივი კლდეები ერწყმის. ჩრდილო-აღმოსავლეთით, ფერდზე ნაგებობების კვალია. აგრეთვე, ძლიერ დაზიანებული, შენობის კვალი განირჩევა ამავე მიმართულებით არსებულ მცირე, კლდოვან, კონცხზეც. ძეგლის ტერიტორიაზე დაფიქსირდა კერამიკის მცირე ფრაგმენტები. ადგილობრივი მოსახლეობა ციხეს „უნან კალესის“ (ბერძნების ციხეს) უწოდებს.

ციხე არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.





ოსტუკი, ეკლესიისა და სხვა ნაგებობების კომპლექსი სოფლის ჩრდილოეთით

ისტორიული ბაიბურთის სოფელი ოსტუკი, თანამედროვე ნიშანთაში, ბაიბურთის ცენტრალური რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Nişantaşı, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფლის ჩრდილოეთით, დაახლოებით 2.5 კილომეტრზე, მდებარეობს ეკლესია (40°22'45.08"N; 40°02'16.61"E). (მიახლოებითო ზომები: სიგრძე 14 მ, სიგანე 9 მ). ნაგებობა მდებარეობს ნასახლარის ტერიტორიაზე, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „ვერანა შეჰირს“ (გავერანებულ ქალაქს) უწოდებს. ეკლესია დანგრეულია, თუმცა შესაძლებელია მისი გეგმის აღდგენა. შვერილფსიდიანი დარბაზული ტიპის ნაგებობიდან დარჩენილია აღმოსავლეთით საკურთხეველის აფსიდის. მომრგვალების ჩრდილოეთი და სამხრეთი კედლის ფრაგმენტები. ასევე, შემორჩენილია სამხრეთი კედლის ნაწილი. ტაძრის დანარჩენი კედლები მისივე ქვებით და მიწითაა დაფარული. აქვეა მისი გადმოქცეული კედლების მოზრდილი, დუღაბიანი ფრაგმენტები.

ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთით, შემადღებულ ნაწილში, შემორჩენილია კიდევ ერთი ნაგებობის ნაშთი. ადგილობრივი მოსახლეობის თქმით ის აბანო უნდა იყოს (40°22'46.46"N; 40°02'15.76"E). მისგან დარჩენილია დასავლეთი კედლის ფრაგმენტი, რომელშიც თალიანი სივრცვა (სიმაღლე 1.2 მ; სიგანე 1.2 მ; თალის სიმაღლე 2.5; სიგანე 1.1 მ). მისი ნაწილი დაფარულია მიწით. შემორჩენილია აგრეთვე ნაგებობის აღმოსავლეთი კედლის ფრაგმენტები.

ეკლესია და სხვა ნაგებობები მოხსენიებულია თურქულ ლიტერატურაში.





პეკესი, თურბე

ისტორიული ბაიბურთის სოფელი პეკესი, თანამედროვე სერენლი, დემიროზუს რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Serenli, Demirözü İlçesi, Bayburt İli).

სოფელში, სასაფლაოს ტერიტორიაზე მდებარეობს თურბე (აკლდამა) (40°01'33.74"N; 39°45'50.24"E).



რუშდი, ეკლესია

ისტორიული ბაიბურთის სოფელი რუშდი, თანამედროვე რუშტუ, ბაიბურთის ცენტრალური რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Rüştü, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფელში მდებარეობს ეკლესია (40°13'9.27"N; 39°58'33.23"E), რომელიც 1939 წლიდან გადაკეთებულია ჯამედ. ეკლესია სამნავიანი ბაზილიკის ტიპისაა (მიახლოებითი ზომები: სიმაღლე 6 მ,

სიგრძე 14.5 მ). აქვს ორფერდა გადახურვა. აღმოსავლეთით საკურთხეველის მომრგვალება მონგრეულია და ამოყვანილია სწორი კედელი. დასავლეთი კარის შესასვლელში ორი დეკორაციული სვეტია. შესასვლელის თავზე ჩასმულია სადა ორნამენტით მოჩარჩოებული ქვა, სადაც, სავარაუდოდ წარწერა იქნებოდა. ამჟამად, ის გადაფხევილია. მის თავზე გადაყვანილია ცრუ თაღი. ამავე კედელზე სარკმელია, რომლის თავზეც, თაღში ჩასმულია ქვა, განედლებული ჯვრით. ორნამენტი ნაწილობრივ ამომტვრეულია. სარკმლის ორივე მხარეს ორი პაწია სასინათლო ღიობია. სამხრეთით და ჩრდილოეთით სამ-სამი სარკმელია გაჭრილი. ეკლესიის ინტერიერი ახლადაა შეეთერებული. ბაზილიკის თაღები ეყრდნობა ოთხკუთხა კაპიტელებით დასრულებულ, წრიულ, ოთხ სვეტს. აღმოსავლეთით პილასტრებს მარტივი ორნამენტი აქვთ. ჩრდილოეთ კედელში ორი შეისრულთაღოვანი სათავსია. ერთ-ერთში, რომელიც უფრო დიდია, ჩანს გამოკვეთილი იყო ჯვარი, რომელიც ამჟამად ამომტვრეულია. ადგილობრივთა ინფორმაციით, დასავლეთ ფასადზე ყოფილა რელიეფური ქვა მაცხოვრისა და ღვთისმშობლის გამოსახულებით, რომელიც, სადღეისოდ, განადგურებულია. ეკლესიის აღმოსავლეთი კედლის ქვები გამოუყენებიათ სკოლის მშენებლობაში, რომელიც ამჟამად უფუნქციოა.

ეკლესია მოხსენიებულია თურქულ ლიტერატურაში.



სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით ფიქსირდება გორა-ნამოსახლარი (იხ. დანართი 1.).

სამკოდი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის აღმოსავლეთით

ისტორიული ბაიბურთის სოფელი სამკოდი, თანამედროვე ბაირთეფე, ბაიბურთის ცენტრალური რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Bayırtepe, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფლის აღმოსავლეთით, დაახლოებით 1.2 კილომეტრზე, მაღალი მთის თხემზე, მდებარეობს მშრალი წყობის ნაგებობა (40°16'57.67"N; 40°02'56.59"E). (მიახლოებითი ზომებია: 35×15 მ; გარშემოწერილობა 110 მ). ნაგებობა ძლიერაა დაზიანებული და მისი კედლები ჩაშლილია. შემორჩენილია ნაგებობის, სამირკვლის დონემდე დანგრეული, კედლების კონტურები. უკეთაა შემორჩენილი აღმოსავლეთი კედლის წყობა, სადაც განირჩევა ორმაგი გალავნის კვალი - გარე გალავანი მიბჯენილია შიდა კედელს. კედლის ზომა 2–2.5 მეტრია. ნაგებობის შიგნით იკითხება მთავარ კედლებს მიბჯენილი ოთხკუთხა შენობების კვალი, რომელთა კედლის სისქე 1.5 მეტრამდეა. ადგილობრივი მოსახლეობა ძველს „კალეჯიკს“ (მცირე ციხეს) უწოდებს.

ნაგებობა მოხსენიებულია თურქულ ლიტერატურაში.



სარაიჯიკი, სოფელში დაფიქსირებული ბაზისი (?)

ისტორიული ბაიბურთის სოფელი სარაიჯიკი, თანამედროვე სარაიჯიკი, ბაიბურთის ცენტრალური რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Saraycık, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფელში, ადგილობრივი მცხოვრების სახლთან, მოზრდილი, თეთრი ფერის ქვის ზაზისია (?) ($40^{\circ}09'40.97''N$; $39^{\circ}58'24.36''E$). მისი თავდაპირველი ადგილმდებარეობა უცნობია.



სეიდიაკუბი, თურბე

ისტორიული ზაიბურთის სოფელი სეიდიაკუბი, თანამედროვე სეიდიაკუბი, ზაიბურთის ცენტრალური რაიონი, ზაიბურთის პროვინცია (Seydiyakup, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფელში, აღმოსავლეთით, დაახლოებით 1 კილომეტრზე, მაღალი მთის თავზე, სეიდ იაკობის თურბეა (აკლდამა) ($40^{\circ}25'18.47''N$; $40^{\circ}17'0.92''E$).



სიბთოროსი, ეკლესია

ისტორიული ზაიბურთის სოფელი სიბთოროსი, თანამედროვე ორუჩბელი, ზაიბურთის ცენტრალური რაიონი, ზაიბურთის პროვინცია (Oruçbeyli, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფელში ყოფილა ეკლესია, რომელიც, ამჟამად, დანგრეულია ($40^{\circ}14'57.92''N$; $39^{\circ}59'42.06''E$) და მისგან დარჩენილია ქვები - მათ შორის სარკმლის ქვა. ადგილობრივი მოსახლეობა ადასტურებს ეკლესიის არსებობას და მიუთითებს მის მდებარეობას. მოსახლეობას აგრეთვე ახსოვს ეკლესიის კედლები. მის გვერდით მდგარ შენობას ასევე ეკლესიას უწოდებენ, თუმცა მისი გეგმა არ შეესაბამება საეკლესიო არქიტექტურის მონაცემებს და, სავარაუდოდ, საცხოვრებელი სახლი უნდა იყოს.

ეკლესია არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.



ფოტო 1. ეკლესიის ადგილი



ფოტო 2. სარკმლის ქვის ფრაგმენტი

სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით ფიქსირდება გორა-სამარხი (იხ. დანართი 1).

სინორია, ძველი ჯამე და თურბე

ისტორიული ზაიბურთის სოფელი სინორია, თანამედროვე ჩაირიოლუ, ზაიბურთის ცენტრალური რაიონი, ზაიბურთის პროვინცია (Çayıryolu, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფელში მდებარეობს XIV საუკუნის ჯამე (40°15'10.25"N; 39°54'44.58"E), რომელიც, ამჟამად, განახლებულია. მასთანვეა, ამავე პერიოდით დათარიღებული, მინარეთი. ჯამეს შესასვლელში, კარის თავზე არაბული წარწერაა ჩასმული – ასევე არაბული წარწერაა მოთავსებული ჯამეს გალავანში. ტერიტორიაზე ძველი სასაფლაოა, სადაც მდებარეობს თურბე (40°15'9.87"N; 39°54'46.56"E), რომელიც ეკუთვნის თეთრბატკნიანთა სამეფოს დამაარსებლებიდან ერთ-ერთის, თურალი ბეის შვილს - ყუთლუ ბეის. ძველი წარმოადგენს მისი ოჯახის აკლდამას. ჯამე სწორედ მის მიერაა აშენებული, რომელიც XVI საუკუნეში სულთან სულეიმანის მმართველობის დროს განახლებულა.

ჯამე და თურბე მოხსენიებულია თურქულ ლიტერატურაში.





სოფლის სამხრეთით და დასავლეთით ფიქსირდება გორა-ნამოსახლაები (იხ. დანართი 1).

სიღირჯი, ეკლესია

ისტორიული ზაიბურთის სოფელი სიღირჯი, თანამედროვე სიღირჯი, ზაიბურთის ცენტრალური რაიონი, ზაიბურთის პროვინცია (Siğircı, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფელში, აღმოსავლეთით, დაახლოებით 0.4 კილომეტრზე, ადგილობრივი მოსახლეობა ადასტურებს ეკლესიას და მიუთითებს მისი მდებარეობის ადგილს (40°03'51.90"N; 40°18'44.56"E). ძველი განადგურებულია და მის ადგილას სახლებია აშენებული. სოფლის ძველ ნამოსახლართან ადგილს „ქილისე ბოინი“ (ეკლესიის ყელი) ეწოდება. ძეგლების არტეფაქტები შემორჩენილი აღარაა.

ეკლესია არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.



ფოტო 1. სოფელი სიღირჯი

ტახტი, ეკლესიები

ისტორიული ბაიბურთის სოფელი ტახტი, თანამედროვე ტახტი, ბაიბურთის ცენტრალური რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Taht, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფელში ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციით ორი ეკლესია ყოფილა, რომელთაგან ერთი სოფლის სასაფლაოს ტერიტორიაზე მდგარა ($40^{\circ}17'26.53''N$; $40^{\circ}25'27.27''E$), ხოლო მეორე - სოფლის დასავლეთით, დაახლოებით 1 კილომეტრზე, ყანების ტერიტორიაზე ($40^{\circ}17'25.23''N$; $40^{\circ}24'50.69''E$). ორივე ძეგლი განადგურებულია და არტეფაქტები შემორჩენილი აღარაა.

ეკლესიები არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.



ფოტო 1. სასაფლაოზე, ეკლესიის ადგილის არეალი



ფოტო 2. ყანები, ეკლესიის ადგილის არეალი

სოფელში ფიქსირდება გორა-სამარხი (იხ. დანართი 1).

ტომლა, ეკლესია

ისტორიული ბაიბურთის სოფელი ტომლა, თანამედროვე ჩილდემთეფე, ბაიბურთის ცენტრალური რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Çiğdemtepe, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფელში მდებარეობს ეკლესია ($40^{\circ}19'55.70''N$; $40^{\circ}08'07.79''E$). ნაგებობა ერთნაგვიანი, დარბაზული, ტიპისაა (ზომები: სიგრძე 15 მ, სიგანე 9.5 მ).

ძეგლისგან დარჩენილია ძირითადი კონსტრუქცია, მათ შორის, გადახურვაც. ტაძარს შვერილაფსიდიანი საკურთხეველი აქვს. მას მხოლოდ სამხრეთი პასტოფორიუმი აქვს, რომელიც მკვეთრად გარეთ გამოდის სამხრეთის კედელთან მიმართებით. პასტოფორიუმს სფერული გადახურვა აქვს. დასავლეთით მთავარ სივრცესთან დამაკავშირებელი კარია, ხოლო აღმოსავლეთითა და ჩრდილოეთით ორი ნიშია გამოღებული. მისი სამხრეთი კედლის ნაწილი მონგრეულია. ეკლესიას კარი დასავლეთიდან აქვს, რომლის გარშემოც ჩატანებულია ქვები, განედლებული ჯვრის გამოსახულებით. ერთ-ერთ მათგანზე კი დაზიანებული სომხური წარწერა იკითხება. კარის ორივე გვერდზე, ქვებზე, ჯვრებია ამოკვეთილი. ინტერიერში შემორჩენილია მრგვალი პილასტრები, ხოლო მათზე არსებულ, ოთხკუთხა, კაპიტელებს ეყრდნობა ტაძრის კამარა. საკურთხეველის ჩრდილოეთით ცრუ პასტოფორიუმია - სამხრეთი პასტოფორიუმის მსგავსათ გაჭრილია ორნამენტით მოჩარჩოებული კარი, თუმცა მისი სივრცე ამოშენებულია კედლით და, სავარაუდოდ, ტაძრის აშენების თანადროულია. კონქი და აფსიდი გამიჯნულია ქვის სარტყელით. საკურთხეველში ორი ნიშია გაჭრილი. ყველა პილასტრსა და კაპიტელზე ამოკვეთილია, წრეში ჩახაზული, ჯვრები. საკურთხეველის ოთხკუთხა პილასტრების დასასრულს, განსხვავებული, წნულ წრეში ჩახატული, ჯვრებია. სამხრეთით სამი სარკმელია, ხოლო ჩრდილოეთი კედელი ყრუა, უსარკმლო. სამხრეთით და ჩრდილოეთით, ერთმანეთის პირისპირ, ორი, ვერტიკალური ნიშია. ეკლესიის დასავლეთ ნაწილში პატრონიკე ყოფილა, კედელზე დარჩენილია მასზე მიდგმული კიბისა და კედლის კვალი.

ეკლესია მოხსენიებულია ლიტერატურაში.



ფოტო 1. ეკლესია, სამხ-დას. ექსტერიერი



ფოტო 2. ეკლესია, სამხ.-აღმ. ექსტერიერი



ფოტო 3. სამხ.-აღმ. პასტოფორიუმი



ფოტო 4. აღმოსავლეთ ექსტერიერი, აფსიდი



ფოტო 5. დასავლეთ ექსტერიერი, მთავარი კარი



ფოტო 6. ეკლესიის ინტერიერი



ფოტო 7. აღმ. ინტერიერი, დეტალი



ფოტო 8. აღმ. აფსიდი და პასტოფორ. შესასვლელი



ფოტო 9, 10, 11, 12. დასავლეთით, ფასადზე ჩასმული ჯვრიანი ქვები.

სოფელში ფიქსირდება გორა-ნამოსახლარები (იხ. დანართი 1).

ფალინიქი, ეკლესია სოფლის სამხრეთ-დასავლეთით

ისტორიული ბაიბურთის სოფელი ფალინიქი, თანამედროვე ერიკდიბი, აიდინთეფეს რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Erikdibi, Aydıntepe İlçesi, Bayburt İli).

სოფლის სამხრეთ-დასავლეთით, დაახლოებით 0.7 კილომეტრზე, მაღალი ბორცვის თავზე, ადგილობრივი მოსახლეობა ადასტურებს ეკლესიის არსებობას და მიუთითებს მისი მდებარეობის ადგილს (40°25'42.13"N; 40°14'38.34"E). ნაგებობის არტეფაქტები შემორჩენილი აღარაა. მოსახლეობა ამ ადგილს „ქილისეს“ (ეკლესიას) უწოდებს.

ეკლესია არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.



ფოტო 1. სოფელი ფალინიქი



ფოტო 2. ბორცვი, სადაც ეკლესია იდგა

ფილესი, ეკლესია

ისტორიული ზაიბურთის სოფელი ფილესი, თანამედროვე გუნბულდუ, აიღინთეფეს რაიონი, ზაიბურთის პროვინცია (Günbuldu, Aydıntepe İlçesi, Bayburt İli).

სოფელში, აღმოსავლეთით, ბორცვზე, ადგილობრივი მოსახლეობა ადასტურებს ეკლესიის არსებობას და მიუთითებს მისი მდებარეობის ადგილს (40°31'19.25"N; 40°07'59.06"E). ნაგებობის არტეფაქტები შემორჩენილი აღარაა.

ეკლესია არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.



ფოტო 1. სოფელი ფილესი



ფოტო 2. ეკლესიის ადგილი

ფუგელი, ეკლესია

ისტორიული ზაიბურთის სოფელი ფუგელი, თანამედროვე ბალიკაია, ზაიბურთის ცენტრალური რაიონი, ზაიბურთის პროვინცია (Ballıkaya, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფელში, ადგილობრივი მოსახლეობა ადასტურებს ეკლესიის არსებობას და უთითებს მისი მდებარეობის ადგილს (40°22'23.78"N; 40°23'13.41"E), თუმცა, ამჟამად, მის ადგილას საცხოვრებელი სახლებია აშენებული. ძეგლის არტეფაქტები შემორჩენილი აღარაა.

ეკლესია არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.



ფოტო 1. სოფელი ფუგელი



ფოტო 2. სახლი ეკლესიის ადგილას

ფულური, ეკლესიები

ისტორიული ზაიბურთის სოფელი ფულური, თანამედროვე გოქედერე, დემიროზუს რაიონი, ზაიბურთის პროვინცია (Gökçedere, Demirözü İlçesi, Bayburt İli).

ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციით სოფელთან, მთებში, ყოფილა ეკლესია, რომელიც სრულიად განადგურებულია და მას „ალაქილისეს“ უწოდებენ.

სოფელში ყოფილა კიდევ ერთი ეკლესია, რომელიც ასევე განადგურებულია. ეკლესიების ადგილთა ზუსტი კოორდინატების დადგენა ვერ მოხერხდა.

ეკლესიები არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

ფულური, ძველი ჯამე, მედრესე და აბანო

ისტორიული ბაიბურთის სოფელი ფულური, თანამედროვე გოქჩედერე, დემიროზუს რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Gökçedere, Demirözü İlçesi, Bayburt İli).

სოფელში შემორჩენილია XVI საუკუნის ჯამე (40°08'00.25"N; 39°45'03.03"E) და მედრესე (სასულიერო სასწავლებელი) (40°08'01.40"N; 39°45'03.72"E). ნაგებობები ერთ ტერიტორიაზე მდებარეობს და განახლებულია, ხოლო მათგან ჯამე ფუნქციონირებს. ტერიტორიაზე გვხვდება სასაფლაო. აქვე, ჯამესთან კი აგურით ნაგები ძველი აბანოს ნაშთებია (40°07'59.75"N; 39°45'01.54"E).

ნაგებობები დაფიქსირებულია თურქულ ლიტერატურაში.



ფოტო 1. ჯამე



ფოტო 2. მედრესეს შენობა



ფოტო 3. არაბული წარწერა მედრესეს შენობაზე



ფოტო 4. აბანო

სოფლის აღმოსავლეთით ფიქსირდება გორა-ნამოსახლარი (იხ. დანართი 1).

ფუშკე, ეკლესია

ისტორიული ბაიბურთის სოფელი ფუშკე, თანამედროვე აკიაკა, დემიროზუს რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Akyaka, Demirözü İlçesi, Bayburt İli).

სოფელში მდებარეობს ეკლესია (40°02'11.81"N; 39°53'07.65"E), რომელიც, ამჟამად, გადაკეთებულია ჯამედ. ნაგებობა სამნავიანი ბაზილიკის ტიპისაა (ზომები: სიგრძე 14 მ, სიგანე 8.8 მ), ხოლო გადახურვა ორფერდაა. მისი აღმოსავლეთ კედელი მონგრეულია მოგვიანებით და ამოყვანილია სწორი კედელი. მასში სამი სარკმელია გაჭრილი. ასევე სამ-სამი სარკმელია სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლებში, რომლებიც მოქცეულია ბაზილიკის ოთხკუთხა პილასტრებს შორის. თაღები ეყრდნობა ოთხკუთხა კაპიტელით დასრულებულ, წრიულ, ოთხ სვეტს. კაპიტელები ერთმანეთთან დაკავშირებულია ბოლო პერიოდში, რესტავრაციისას, დამატებული ხის ძელებით. დასავლეთ ნაწილში პატრონიკვა. ეკლესიაში შესასვლელი კარი სამხრეთითაა, რომელიც უკავშირდება პატრონიკეს და შემდეგ დასავლეთ კედელში გაჭრილი კარით მთავარ სივრცეს. დასავლეთით, ზედა ნაწილში, წრიული სარკმელია. ეკლესიის

ინტერიერი შეთეთრებულია. ასევე განახლებულია ფასადიც, მისი ავთენტური ნაწილი შემორჩენილია დასავლეთ კედლის ზედა ნაწილსა და ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში.

ეკლესია დაფიქსირებულია თურქულ ლიტერატურაში.



ამავე სოფელში დარჩენილია წყაროს ძველი ნაგებობა ($40^{\circ}02'06.98''N$; $39^{\circ}53'13.43''E$).



სოფლის დასავლეთით ფიქსირდება გორა-ნამოსახლარი (იხ. დანართი 1).

ქანი, ეკლესიები

ისტორიული ბაიბურთის სოფელი ქანი, თანამედროვე არსლანდედე, ბაიბურთის ცენტრალური რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Arslandede, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფელში შემორჩენილია ეკლესია ($40^{\circ}22'39.10''N$; $40^{\circ}28'6.10''E$), რომელიც ჩართულია ჯამეს აღმოსავლეთ კედელში. ჩანს, ეკლესია შვერილაფსიდიანი ყოფილა, რომლის 3 მ. სიმაღლის ჩრდილო-აღმოსავლეთი კედლის მონაკვეთი ავთენტურადაა შემორჩენილი (აფსიდის შემოწერილობა 3 მეტრია). ნაგებია მოზრდილი, თლილი, კვადრებით. განირჩევა ორსაფეხურიანი ბაზისი. შემორჩენილია ასევე ეკლესიის აღნიშნული კედლის შიდა მხარეც, რომელიც, მოგვიანებით მიშენებულ კედელთან ერთად,

წარმოადგენს ჯამეს სათავსს. ეკლესიის კედელთან ჩატანებულია ორი ქვა, ჯვრის ორნამენტებით. ჯამე აშენებულია 1960 წელს, ხოლო მანამდე, მის ფუნქციას ეკლესიის შენობა ასრულებდა.

ეკლესია არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.



ფოტო 1. ჯამეში ჩართული ეკლესიის კედელი



ფოტო 2. ეკლესიის აფსიდის ფრაგმენტი



ფოტო 3. გარე მოპირკეთების დეტალი



ფოტო 4. აფსიდის ინტერიერი

ამავე სოფელში, მაღალი მთის წვერზე, ადგილობრივი მოსახლეობა ადასტურებს ეკლესიის არსებობას (40°22'52.41"N; 40°27'58.78"E). ამჟამად, ძეგლი განადგურებულია. მის ადგილას ახლა სოფლის წყლის სათავე ნაგებობაა.

ეკლესია არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.



ქანი, მეგალითური ციხე სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით

ისტორიული ზაიბურთის სოფელი ქანი, თანამედროვე არსლანდედე, ზაიბურთის ცენტრალური რაიონი, ზაიბურთის პროვინცია (Arslandede, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაახლოებით 1 კილომეტრზე, მდინარე ჭოროხის მარცხენა მხარეს, მაღალი, კლდოვანი ბორცვის თხემზე, შემორჩენილია მეგალითური ციხე (40°23'06.58"N; 40°28'27.77"E). (მიახლოებითი ზომები: სიგრძე 15 მ, სიგანე 9 მ). იკითხება გეგმა. ციხე ნაგებია დიდი ზომის ქვებით, ხოლო მისი კედლების შიდა სივრცის ამოსავსებად გამოყენებულია შედარებით პატარა ზომის ნატეხი ქვა. კედლების სისქე 2–2.5 მეტრია. ციხის შიდა კედელი, ჩრდილოეთით, ოთხ კუთხეს ქმნის, რომლის გარე კედლის კუთხეები დასრულებულია ორი, წრიული, გოდლით. ციხის აღმოსავლეთით, კედელზე, ასევე მრგვალი გოდოლია, რომელიც მიდგმულია სწორკუთხა შიდა კედელზე. ნაგებობის დასავლეთით, კედელში, ბუნებრივი კლდეა ჩართული.

მეგალითური ციხე არ არის მოხსენიებული მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.



ციხის აღმოსავლეთით, მაღალ, კლდოვან კლდეზე, შესაძლოა, ასევე მშრალი წყობის მქონე ნაგებობა ყოფილიყო.



ქვემო კირზი, ეკლესია

ისტორიული ბაიბურთის სოფელი ქვემო კირზი, თანამედროვე სოფელი აშალი კირზი, აიდინთეფეს რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Aşağı kırsı, Aydıntepe İlçesi, Bayburt İli).

სოფელში ადგილობრივი მოსახლეობა ადასტურებს ეკლესიის არსებობას, რომელიც, ამჟამად, განადგურებულია. მოსახლეობა მისი მდებარეობის ზუსტ ადგილს ვერ უთითებს.

ეკლესია არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

სოფელში, სასაფლაოზე, თურბეა (აკლდამა) (40°21'18.08"N; 40°09'30.45"E).

ქვემო ლური, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის სამხრეთ-დასავლეთით

ისტორიული ბაიბურთის სოფელი ქვემო ლური, თანამედროვე იაზიბაში, დემიროზუს რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Yazıbaşı, Demirözü İlçesi, Bayburt İli).

სოფლის სამხრეთ-დასავლეთით, დაახლოებით 1.3 კილომეტრზე, მაღალი მთის თავზე, მდებარეობს მშრალი წყობის ნაგებობა (40°03'31.15"N; 39°51'43.90"E). მცირე ზომის ნაგებობა მთის თავზეა აგებული და ძლიერაა დაზიანებული. გეგმის აღდგენა ვერ ხერხდება, ხოლო მისი კედლები დარჩენილია ქვაცირის სახით. ადგილობრივი მოსახლეობა მას „ზიარეთს“ და „ქაფილი კალესის“ (კარიანი ციხეს) უწოდებს.

ნაგებობა მოხსენიებულია თურქულ ლიტერატურაში.



სოფელთან ფიქსირდება გორა-ნამოსახლარი (იხ. დანართი 1).

ქვემო სისნე, ეკლესია

ისტორიული ბაიბურთის სოფელი ქვემო სისნე, თანამედროვე აშალი პინარლი, ბაიბურთის ცენტრალური რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Aşağı Pınarlı, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფელში, ჯამეს სიახლოვეს ადგილს მოსახლეობა „ზიარეთს“ უწოდებს, ამავე ტერიტორიაზე, საცხოვრებელი სახლის კედელში, ჩატანებულია ეკლესიის სარკმლის ორი ქვა (40°09'40.97"N;

39°58'24.36"E). სავარაუდოდ, ეკლესია სწორედ „ზიარეთად“ წოდებულ ადგილას უნდა მდგარიყო და სარკმლის ქვებიც მას ეკუთვნოდა. მოსახლეობას არ ახსოვს სოფელში ეკლესია.

ეკლესია არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში



ქვემო ჰაიკი, ეკლესია და სოფელში დაფიქსირებული ჯვრიანი ქვა

ისტორიული ბაიბურთის სოფელი ქვემო ჰაიკი, თანამედროვე დიკმეტაში, ბაიბურთის ცენტრალური რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Dikmetaş, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფელში, ადგილობრივი მოსახლეობა ადასტურებს ეკლესიის არსებობას. მათი ინფორმაციით, ის ძველი სკოლის შენობის ადგილას მდგარა (40°21'42.76"N; 40°15'49.32"E). ძეგლის არტეფაქტები შემორჩენილი არ არის.

ამავე სოფელში, წყლის ნაგებობასთან, შემორჩენილია მოვარდისფრო ქვა, მასზე ამოკვეთილი 2 ჯვრის გამოსახულებით (40°21'44.68"N; 40°15'42.79"E). ჩანს, ქვა გატეხილია, რადგან მეორე ჯვრის მხოლოდ ნაწილია დარჩენილი. ქვა მოჩარჩოებულია წნული ორნამენტით, რომელშიც ორი, მკლავებგაფართოებული ჯვარია მოთავსებული, ხოლო მათ თავზე მცენარეული ორნამენტი წარმოდგენილი. სავარაუდოდ, ქვა სოფლის, ამჟამად განადგურებულ, ეკლესიას ეკუთვნოდა.

ეკლესია და ქვა არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.



ქისანთა, ციხე სოფლის დასავლეთით

ისტორიული ბაიბურთის სოფელი ქისანთა, თანამედროვე ქალაქი დემიროზუ, ბაიბურთის პროვინცია (Demirözü Şehri, Bayburt İli).

ქალაქის დასავლეთით, დაახლოებით 1.5 კილომეტრზე, მაღალი მთის კლდოვან თხემზე, ციხეა (40°09'50.34"N 39°52'31.01"E), რომელიც, ამჟამად, განადგურებულია. კედლის წყობები შემორჩენილი არ არის და გეგმის აღდგენა ვერ ხერხდება. დარჩენილია ციხის ქვები, დულაბის ნაფხვენი და დიდი რაოდენობით კერამიკის ფრაგმენტები. ადგილობრივი მოსახლეობა ამ ადგილს „კალეს“ (ციხეს) უწოდებს.

ციხე მოხსენიებულია ლიტერატურაში.



სოფელთან სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით ფიქსირდება გორა-ნამოსახლარები (იხ. დანართი 1).

ქუთუდი, ციხე სოფლის აღმოსავლეთით

ისტორიული ზაიბურთის სოფელი ქუთუდი, თანამედროვე ჩიმენთეფე, დემიროზუს რაიონი, ზაიბურთის პროვინცია (Çimentepe, Demirözü İlçesi, Bayburt İli).

სოფლის აღმოსავლეთით, დაახლოებით 1.4 კილომეტრზე, მთის თხემზე, მდებარეობს ციხე (40°06'17.52"N; 39°43'15.79"E). მისი კედლების ძირითადი კონსტრუქცია დანგრეულია. ქვები ჩაყრილია ფერდის ძირში, თუმცა შემორჩენილია ციხის კედლების, სამირკვლის დონემდე დანგრეული, კონტური. მშენებლობაში გამოყენებული ყოფილა საშუალო ზომის კვადრები. ციხე ორი უბნისგან შედგება. მის დასავლეთ ნაწილში, ყველაზე შემადლებულ მონაკვეთზე, კედელთან, იკითხება წრიული ფორმის ნაგებობის, დულაბით ნაგები, კედლები (ზომები: სიგანე 1.7 მ, სიმაღლე 1.6 მ). (ნაგებობა გოდოლისთვის ძალიან პატარაა). ჩანს, ეს ნაწილი გათხრილია განძის მაძიებელთა მიერ, რა დროსაც კედლის დულაბიანი წყობა გამოვლინდა. ციხის ზედა ნაწილი შემადლებულ კლდოვან თხემზეა გაშლილი და მისი ზომები 17x12 მეტრია. ციხის ქვედა ნაწილი დასავლეთიდან აღმოსავლეთითაა მიმართული და კლდოვანი თხემის ფერდზეა განთავსებული. აღმოსავლეთ ნაწილში დარჩენილია 10 მეტრამდე სიგრძის კედლის წყობა, ხოლო დანარჩენი ქვყარლის სახითაა შემორჩენილი. ნაგებობის ამავე მონაკვეთზე ქვების მშრალი წყობა ფიქსირდება.

ციხე არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.





ჩაკმანსი, ეკლესია

ისტორიული ბაიბურთის სოფელი ჩაკმანსი, თანამედროვე იაზიურდუ, ბაიბურთის ცენტრალური რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Yazyurdu, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფელში, დასახლებაში, შემორჩენილია ეკლესია (40°25'36.03"N; 40°27'59.79"E). ნაგებობის ძირითადი კონსტრუქცია დანგრეულია. შემორჩენილია მისი აღმოსავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთი კედლების ნაწილი. სამხრეთით შემორჩენილი კედლის სიმაღლე 2 მეტრამდე აღწევს, ხოლო შიდა კედლებს შორის სიგანე 4.5 მეტრია. აღმოსავლეთით განირჩევა კონქის მომრგვალება, თუმცა მისი ძირითადი ნაწილი დაფარულია ეკლესიის კედლებიდან ჩამოვარდნილი ქვებით და მიწით. კედლების სისქე 0.8 მეტრია. ნაგებია მოზრდილი, დაუმუშავებელი, ქვით და დულაბით. ეკლესიასთან, დიდი ზომის, მოვარდისფრო, ცხვრის ფორმის, საფლავის ქვაა, რომელიც დაზიანებულია - მოტეხილია ფიგურის თავი.

ეკლესია არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.





ჩაკმანსი, ციხე სოფლის ჩრდილო-დასავლეთით

ისტორიული ბაიბურთის სოფელი ჩაკმანსი, თანამედროვე იაზიურდუ, ბაიბურთის ცენტრალური რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Yazyurdu, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფლის ჩრდილო-დასავლეთით, დაახლოებით 3 კილომეტრზე, მაღალი მთის კლდეებით დაბოლოებულ ნაწილში, შემორჩენილია ციხე ეკლესიით ($40^{\circ}26'23.23''N$; $40^{\circ}26'13.30''E$). ჩანს, ციხე, კლდის რელიეფიდან გამომდინარე, ორ – ზედა და ქვედა სივრცეზე იყო განფენილი. ციხის კედლები სრულად დანგრეულია და დარჩენილია ქვაცირილის სახით. ძლიერი დაზიანების გამო მისი გეგმის აღდგენა ვერ ხერხდება. ძეგლი ნაშენი ყოფილა დაუმუშავებელი ქვით და დულაბით. შემორჩენილია დიდი რაოდენობით დულაბის ნაფხვენი ნაწილები. ციხის მთელს ტერიტორიაზე და მთის ფერდებზე ასევე დიდი რაოდენობით კერამიკაა მიმოხნეული.

ციხის ზედა ნაწილში, დასავლეთით, სავარაუდოდ ეკლესია უნდა იყოს განთავსებული, რომლისგანაც დარჩენილია კვადრატული ფორმის ნაგებობა (5x5). ეს უკანასკნელი ნაგებია უხეშად დამუშავებული ქვით და დულაბით. კედლის სისქე 0.9 მეტრია, ხოლო შემორჩენილი სიმაღლე 1 – 1.2 მეტრია. ჩრდილოეთით, როგორც ჩანს, მოგვიანებით მიშენებულია დულაბიანი კედლის პარალელური ნაგებობა, რომელიც ნაშენია მშრალი წყობით, უდულაბოდ. მთავარი ნაგებობის ცენტრში კლდეა, სადაც უხვადაა ადამიანის ძვლები. როგორც ირკვევა, ნაგებობა ამ კლდეზე იყო დაშენებული და წარმოადგენდა ეკლესიის ქვედა სართულს – მის სამძვალეს. თავად ეკლესია დანგრეულია და მისი კედლების კვალი აღარაა შემორჩენილი. ეკლესია ნაშენი ყოფილა თეთრი ფერის, მოზრდილი, საგანგებოდ თლილი კვადრებით, რომლებიც იქვე, ფერდზეა ჩაყრილი. ეკლესიის ტერიტორიაზე დიდი რაოდენობის კერამიკაა დაფიქსირებული. მათ შორის გვხვდება მარტივად ორნამენტირებული კერამიკის ფილები და გადახურვის, მომრგვალებული ფორმის, კრამიტი.

ეკლესიის ჩრდილოეთით, დაახლოებით 100 მეტრზე, კლდეებს შორის, მომცრო ქვებითა და დულაბით ნაშენი წყლის ავზია შემორჩენილი (2x4 მ), ხოლო სამხრეთით, ციხის ქვედა ნაწილში, კლდის ძირში, კიდევ ერთი, ოვალური ფორმის, ქვითა და დულაბით ნაშენი ნაგებობაა (9x3.5 მ), რომლის ფუნქციაც გაურკვეველია. ციხის სამხრეთ ნაწილში, ასევე კლდეზე, განაპირას, ნაგებობის კვალი ფიქსირდება, თუმცა ის გადათხრილია განძის მამიებელთა მიერ და მისი გეგმა აღარ იკითხება.

ციხის ტერიტორიაზე შეიმჩნევა მშრალი წყობის შიდა ნაგებობების კვალი და ასევე, მშრალი წყობით ნაგები კედლები, ქვაცირილების სახით. სავარაუდოდ, აქ, თავდაპირველად, მშრალი წყობის ნაგებობა ან ციხე უნდა ყოფილიყო, ხოლო დულაბით ნაშენი ციხე და ეკლესია შემდეგ აღმშენებლობას ეკუთვნის.

ციხე არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.





ჩიტანოსი, ეკლესია

ისტორიული ზაიბურთის სოფელი ჩიტანოსი, თანამედროვე სირაკაიალარი, ზაიბურთის ცენტრალური რაიონი, ზაიბურთის პროვინცია (Sirakayalar, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფელში, ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაახლოებით 0.7 კილომეტრზე, ადგილობრივი მოსახლეობა ადასტურებს ეკლესიის არსებობას და მიუთითებს ადგილს (40°05'50.79"N; 40°13'53.91"E), რომელსაც „ქილისეს“ (ეკლესიას) უწოდებს, თუმცა არტეფაქტები შემორჩენილი აღარაა.

ეკლესია არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.



ფოტო 1. სოფელი ჩიტანოსი



ფოტო 2. ეკლესიის ადგილი

სოფელში სამხრეთით, ფიქსირდება გორა-ნამოსახლარი (იხ. დანართი 1).

ჩიფხინისი, მშრალი წყობის ნაგებობა

ისტორიული ზაიბურთის სოფელი ჩიფხინისი, თანამედროვე კირკპინარი, ზაიბურთის ცენტრალური რაიონი, ზაიბურთის პროვინცია (Kırkpınar, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფლის აღმოსავლეთით, დაახლოებით 0.5 კილომეტრზე, მაღალი მთის თხემზე, მდებარეობს მშრალი წყობის ნაგებობა (40°16'44.94"N; 39°58'57.45"E), რომელიც ძლიერაა დაზიანებული. კედლის წყობები ჩაშლილია და ქვები ბორცვის ძირშია ჩაყრილი. არ ჩანს ნაგებობის სამირკვლის ფრაგმენტებიც. მისი ძირითადი ნაწილი მიწითაა დაფარული. განირჩევა მხოლოდ შიდა პერიმეტრზე არსებული წრიული ნაგებობების ნაშთები.

ნაგებობა არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.



ფოტო 1. სოფელი ჩიფხინისი



ფოტო 2. ნაგებობის ადგილი

ჩიფხინისი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის ჩრდილო-დასავლეთით

ისტორიული ბაიბურთის სოფელი ჩიფხინისი, თანამედროვე კირკპინარი, ბაიბურთის ცენტრალური რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Kırkpınar, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფლის ჩრდილო-დასავლეთით, 2.7 კილომეტრზე, მაღალი მთის თხემზე, მდებარეობს მშრალი წყობის ნაგებობა (40°18'2.90"N; 39°57'30.90"E), რომელიც ძლიერაა დაზიანებული. (მიახლოებითი ზომები: გარშემოწერილობა 130 მ., სიგრძე 45 მ, სიგანე 20 მ, კედლების სისქე 1.5 მ). ოვალური ფორმის ნაგებობა მთის თხემის კიდეებს შემოუყვება. კედლის წყობები ჩაშლილია და ქვები ბორცვის ძირშია ჩაყრილი. განირჩევა ნაგებობის სამირკვლის ფრაგმენტებიც, თუმცა მისი ძირითადი ნაწილი მიწითაა დაფარული. შიდა მონაკვეთზე წრიული შენობების ნაშთებია დარჩენილი.

ნაგებობა არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.



ჩიფხინისი, ხიდი

ისტორიული ბაიბურთის სოფელი ჩიფხინისი, თანამედროვე კირკპინარი, ბაიბურთის ცენტრალური რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Kırkpınar, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფელში შემორჩენილია ხიდი (40°16'46.82"N; 39°58'37.60"E), რომელიც, ამჟამად, განახლებულია. კონკრეტულად კი შეცვლილია მისი სავალი ნაწილი. დარჩენილია მხოლოდ ხიდის ძველი ბურჯები.

ხიდი მოხსენიებულია თურქულ ლიტერატურაში.



ჩორუზმა, ეკლესია სოფლის ჩრდილო-დასავლეთით

ისტორიული ბაიბურთის სოფელი ჩორუზმა, თანამედროვე პეტეკლი, დემიროზუს რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Petekli, Demirözü İlçesi, Bayburt İli).

სოფლის ჩრდილო-დასავლეთით, დაახლოებით 1 კილომეტრზე, ხევთან, ბორცვზე, მდგარა ეკლესია (40°03'35.49"N; 39°41'29.44"E), რომელიც, ამჟამად, განადგურებულია. ადგილობრივი მოსახლეობა ადასტურებს ეკლესიის არსებობას და უთითებს მისი მდებარეობის ადგილს. ამ ტერიტორიას „ქილისე დერესი“ (ეკლესიის ხევი) ქვია.

ეკლესია არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.



ფოტო 1. სოფელი ჩორუზმა



ფოტო 2. ეკლესიის ადგილი

ხადრეკი, შშრალი წყობის ნაგებობა სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით

ისტორიული ბაიბურთის სოფელი ხადრეკი, თანამედროვე ბალკაინაკი, ბაიბურთის ცენტრალური რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Balkaynak, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაახლოებით 1 კილომეტრზე, შემადლებულ ბორცვზე, ძლიერ დაზიანებული, შშრალი წყობის ნაგებობაა (40°20'58.66"N; 39°55'00.16"E). მისი კედლის წყობები ჩაშლილია, არ იკითხება სამირკვლის კონტურიც. განირჩევა მხოლოდ წრიული ნაგებობების, ძლიერ დაზიანებული, ფრაგმენტები. ჩანს, ძველი განადგურებულია ოქროს მაძიებელთა მიერ.

ნაგებობა არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.



ხადრეკი, ხიდი

ისტორიული ბაიბურთის სოფელი ხადრეკი, თანამედროვე ბალკაინაკი, ბაიბურთის ცენტრალური რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Balkaynak, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფლის დასავლეთით, დაახლოებით 0.5 კილომეტრზე, ხევზე, ორმალიანი ქვის ხიდი (40°21'27.80"N; 39°54'12.22"E), რომელიც, ამჟამად, აღდგენილია (ზომები: სიგრძე 18.5 მ, სიგანე 7.1 მ).

ხიდი მოხსენიებულია თურქულ ლიტერატურაში.



ფოტო 1. სოფელი ხადრეკი



ფოტო 2. ქვის ხიდი

ხაიკი, ციხე სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით

ისტორიული ბაიბურთის სოფელი ხაიკი, თანამედროვე კალეჯიკი, დემიროზუს რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Kalecik, Demirözü İlçesi, Bayburt İli).

სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაახლოებით 3.2 კილომეტრზე, მაღალი მთის თხემზე, მდებარეობს მასშტაბური, მშრალი წყობის, ციხე (ზომები: 220×100) (39°57'28.90"N; 39°49'35.81"E), რომელიც დიდ არეალზეა განფენილი და ოვალური ბორცვის თხემის კიდეებს შემოუყვება. მისი კედლები დანგრეულია და ალაგ-ალაგ ქვაყრილების სახითაა დარჩენილი, თუმცა განირჩევა ციხის კედლების, სამირკვლის დონემდე დანგრეული, კონტური. შენობა ნაგები ყოფილა საშუალო ზომის დაუმუშავებელი ქვით. ჩრდილო-დასავლეთით შემორჩენილია, ძლიერ დაზიანებული, 2 ნახევარწრიული ნაგებობა (შიდა ზომა 7 მ), რომლებიც ციხის შიდა მხარესაა მოქცეული და სავარაუდოდ გოდლები უნდა ყოფილიყო. მათ შორის მანძილი დაახლოებით 6 მეტრია. საფიქრებელია, რომ ციხის კარიბჭე აქ უნდა ყოფილიყო. ერთმანეთის პარალელურად, იგივე სახით, თითო ნახევარწრიული გოდლის კვალია შემორჩენილი ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლებში. ციხის ცენტრში, შემადლებულ ბორცვს, როგორც ჩანს, ქვის კედელი შემოსდევდა. ბორცვის ცენტრში განირჩევა მცირე, ოთხკუთხა ნაგებობების ფრაგმენტები, რომლებიც, სავარაუდოდ, სამარხები უნდა იყოს. შესაძლოა, რომ ციხეს ჰქონოდა გარე გალავანი, რასაც ბორცვის ფერდზე დარჩენილი, ძლიერ დაზიანებული, კედლის კვალის ნაშთები გვაფიქრებინებს. ციხის ტერიტორიაზე დიდი რაოდენობის კერამიკის ფრაგმენტებია დაფიქსირებული.

ციხე არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.





ხალტოიარიჭი, ციხე (ერზრუმის პროვინცია)

ისტორიული ერზრუმის სოფელი ხალტოიარიჭი, თანამედროვე ქუჩუკ გეჩითი, აშკალეს რაიონი, ერზრუმის პროვინცია (Küçükgeçit, Aşkale İlçesi, Erzurum İli).

სოფელთან, კლდეზე, შემორჩენილია ხალტოიარიჭის ციხის ნაშთები (39°56'28.21"N; 40°45'59.93"E). მისი კედლები დანგრეულია და დარჩენილია ქვყრილის სახით. მის ძირში, კლდეში, ნაგებობის კვალია. ცნობილია, რომ ციხე ჩორმაირის და სხვა მხარეებთან ერთად ბიზანტიის იმპერატორის მიერ, გარკვეული პერიოდი, დავით III კურაპალატისთვის იყო გადაცემული.



ხარდიში, ეკლესია

ისტორიული ბაიბურთის სოფელი ხარდიში, თანამედროვე ჩიფთეთაში, დემიროზუს რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Çiftetaş, Demirözü İlçesi, Bayburt İli).

სოფელში, შემადღებულ ბორცვზე, მდგარა ეკლესია, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა ადასტურებს და მიუთითებს მის ადგილს ($40^{\circ}11'36.05''N$; $39^{\circ}54'35.68''E$). ამჟამად, ძველი სრულად განადგურებულია, ხოლო მის ტერიტორიაზე შემორჩენილია საფლავის ქვები. ჩანს, ეკლესია სასაფლაოს ტერიტორიაზე იდგა. ადგილობრივი მოსახლეობა ამ ადგილს „ქილისე ბაირს“ (ეკლესიის ფერდს) უწოდებს.

ეკლესია არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.



სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით ფიქსირდება გორა-ნამოსახლარები (იხ. დანართი).

ხართი, ეკლესია სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით

ისტორიული ბაიბურთის სოფელი ხართი, თანამედროვე ქალაქი აიდინთეფე, ბაიბურთის პროვინცია (Aydıntepe Şehri, Bayburt İli).

სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაახლოებით 1.5 კილომეტრზე, ბორცვზე, ეკლესია მდგარა ($40^{\circ}23'6.19''N$; $40^{\circ}10'06.20''E$). თურქულ ლიტერატურაში აღნიშნული ტერიტორია დაფიქსირებულია სახელწოდებით – „ქილისე“. ამჟამად, ძველი განადგურებულია და ადგილზე არტეფაქტები შემორჩენილი არ არის.



ფოტო 1. ეკლესიის ადგილი

ხართი, ციხე და მიწისქვეშა „ქალაქი“

ისტორიული ბაიბურთის სოფელი ხართი, თანამედროვე ქალაქი აიდინთეფე, ბაიბურთის პროვინცია (Aydıntepe Şehri, Bayburt İli).

ქალაქში, კლდოვან თხემზე, მდებარეობს ლიტერატურიდან ცნობილი ციხე (40°23'22.07"N; 40°08'52.80"E). ამჟამინდელი ციხის კედელი, ტურისტული ინტერესიდან გამომდინარე, ბოლო პერიოდშია აშენებული. ციხის ძველი კედლები დანგრეულია და მისი კვალი აღარ იკითხება. დარჩენილია, სავარაუდოდ, კლდეში ჩაკვეთილი, წრიული ფორმის, წყლის ავზი. მის ტერიტორიაზე სასაფლაოა.



ფოტო 1, 2. ციხის გვიანდელი კედლები



ფოტო 3. სავარაუდოდ, წყლის ავზი



ფოტო 4. ოსმალურწარწერიანი ქვა ციხის კედელში

ქალაქში, ასევე მდებარეობს, ლიტერატურაში ცნობილი, მიწისქვეშა „ქალაქი“ (შესასვლელი 40°23'18.04"N; 40°09'03.36"E) (გასასვლელი 40°23'21.78"N; 40°08'50.73"E). მის სიღრმეში გაყვანილია დაახლოებით 320 მეტრი სიგრძის გვირაბი (სიგანე 0.8 მეტრამდე, სიმაღლე 1.7 მეტრიდან 2 მეტრამდე), რომელიც დაკავშირებულია ციხესთან. გვირაბი უკავშირდება ცალკეულ, სხვადასხვა ზომის და დანიშნულების სივრცეებს. მასში გაჭრილია ოთხკუთხა და თაღოვანი კარის ღიობები. ასევე გამოკვეთილია სვეტები. გვირაბს საჭაერო მილიც აქვს.





ამავე სოფელში, ციხის უბანში (კალე მაჰალეში), თურქული ლიტერატურიდან ცნობილი, კლდეში გამოჭრილი, სივრცეა (40°23'20.21"N; 40°08'57.75"E), რომელსაც თაღოვანი შესასვლელი აქვს. სივრცე შიგნიდან შელესილია. მისი ფუნქცია გაურკვეველია.



ხახო, მშრალი წყობის ნაგებობების მასშტაბური კომპლექსი სოფლის სამხრეთით

ისტორიული ბაიბურთის სოფელი ხახო, თანამედროვე სარიჰანი, ბაიბურთის ცენტრალური რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Sarıhan, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფლის სამხრეთით, დაახლოებით 1.5 კილომეტრზე, მდებარეობს, რამდენიმე ჰექტარზე განფენილი, მშრალი წყობის ნაგებობები (40°03'26.40"N; 40°07'39.29"E), რომელიც ცნობილია თურქულ ლიტერატურაში. ნაგებობის ქვის წყობები ძლიერაა დაზიანებული და მისი დიდი მასშტაბებიდან გამომდინარე გეგმის ან დანიშნულების განსაზღვრა, ამ მონაცემით, შეუძლებელია. ალაგ-ალაგ დარჩენილია ქვის კედლის წყობები (დაახლოებით 1.5 მეტრამდე კედლები, რომელთა სისქე 2.5 მეტრამდეა). ყველაზე უკეთ შემორჩენილია, რამდენიმე ათეული მეტრი სიგრძის, კედელი, რომელიც მაღალი ბორცვიდან ეშვება და უერთდება ასევე, რამდენიმე ათეული მეტრი სიგრძის, კედელს. ეს უკანასკნელი ქვაყრილის სახითაა შემორჩენილი. ამ ადგილას შესაძლოა ქალაქი ან თავდაცვითი ობიექტი ყოფილიყო. ადგილობრივი მოსახლეობა ამ ადგილს „ალევი გიუზუს“ უწოდებს.



ხახო, ციხე და ეკლესია სოფლის დასავლეთით

ისტორიული ზაიბურთის სოფელი ხახო, თანამედროვე სარიჰანი, ზაიბურთის ცენტრალური რაიონი, ზაიბურთის პროვინცია (Sarıhan, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფლის დასავლეთით, დაახლოებით 2 კილომეტრზე მდებარეობს, ლიტერატურიდან ცნობილი, მასშტაბური ციხე (40°03'58.34"N; 40°06'19.41"E) და ეკლესია (40°03'58.11"N; 40°06'24.99"E).

ციხე მაღალ, კლდოვან თხემზე მდებარეობს და ორ უბნადაა განფენილი. შემორჩენილია ციხის ძირითადი კონსტრუქცია. ასევე, დარჩენილია მისი შიდა ნაგებობები. ციხის ზედა უბანი ბუნებრივი კლდის ყველაზე მაღალ ნაწილში მდებარეობს. აღმოსავლეთით შემორჩენილია 12 მეტრი სიგრძისა და 6.5 მ. სიმაღლის კედელი, რომელიც ჩრდილო-აღმოსავლეთით მომრგვალებულია. ჩრდილოეთით გრძელდება 14 მეტრამდე სიგრძის კედელი. სამხრეთ ნაწილში ასევე დარჩენილია დაახლოებით 9 მეტრამდე სიგრძის კედელი, რომელიც სრულდება 10 მეტრი სიგრძის წყობით, ხოლო მათ შორის წყობები ჩაშლილია. ნაგებობის შიდა პერიმეტრზე, აღმოსავლეთით, ციხის კედელთან, დარჩენილია მოზრდილი ნაგებობა (8.5 მეტრი სიგრძის 2.5 მეტრი სიმაღლის), რომელიც ციხის გარე კედლის ჩრდილო-აღმოსავლეთის მომრგვალებას იმეორებს. ნაგებობის დასავლეთი ნაწილი დანგრეულია, ხოლო აღმოსავლეთით სარკმელია გაჭრილი. მისგან დასავლეთით მეორე ნაგებობაა, რომლისგანაც შემორჩენილია აღმოსავლეთი და დასავლეთი კედლები. დასავლეთით გაჭრილია თაღოვანი კარი (სიმაღლე: 4 მ, სიგანე: 5 მ, კედლის სისქე: 1.2 მ). აღმოსავლეთ კედელში შემორჩენილია ასევე თაღოვანი კარის ნაწილი და მის ზედა მონაკვეთში გაჭრილი თაღოვანი სარკმლის ნაწილი. ნაგებობის ჩრდილოეთი წყობა, ჩანს, ციხის ჩრდილოეთ კედელს ერწყმოდა (ნაგებობის სიგრძე 5.2 მ, სიგანე 5 მ).

ციხის ქვედა უბანი, დასავლეთით, ფერდზე ეშვება და დიდ არეალზეა განფენილი. ჩრდილოეთი კედლის სიგრძე 50 მეტრზე მეტია და ციხის კედლების ყველაზე უკეთ შემორჩენილ ნაწილს წარმოადგენს. მისი სიმაღლე 7 მეტრამდეა, რომელიც დასავლეთით 17 მეტრამდე კედლით გრძელდება. კედელი კლდის რელიეფს მიუყვება და ორ ადგილას ქვის წყობის ტეხილებია. წყობებში მრავლადაა დატანებული მცირე სარკმლები და კედლის ცენტრალურ ნაწილში, ერთ სიგრძეზე ჩაყოლებული, სასრეები. სამხრეთ-დასავლეთით 9 მეტრი სიგრძის კედელია დარჩენილი, რომელზეც მიბჯენილია 5 მეტრი სიმაღლის, ძლიერ დაზიანებული, შიდა ნაგებობა. სამხრეთ-დასავლეთ კედლის შიდა კუთხეში წყლის ავზია შემორჩენილი (3.8×3.8 მ). ქვედა უბნის აღმოსავლეთით, კლდეზე მიბჯენილი, ნაგებობაა (6.5×4.9 მ). მის ცენტრალურ ნაწილში, აღმოსავლეთით, სავარაუდოდ დილეგია განთავსებული (სიღრმე 2.9 მ, სიგანე 1.4 მ). ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლებს შორის სივრცე 17 მეტრამდეა. ციხეს კარიბჭე, სავარაუდოდ, ქვედა უბანში, ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, უნდა ჰქონოდა. შემორჩენილია ვიწრო შესასვლელის ღიობი. ციხის ტერიტორიაზე მრავალი შიდა ნაგებობების, ძლიერ დაზიანებული, ფრაგმენტია დარჩენილი.





ციხის აღმოსავლეთით, დაახლოებით 150 მეტრზე, ბუნებრივი კლდის სუბსტრუქციაზე, შვერილავსიდიანი ეკლესიის ფრაგმენტებია (სიგანე: 5 მ, სიგრძე 7.8 მ, საკურთხევის სიღრმე: 2.8 მ, საკურთხევის სიგანე: 3.1 მ, კედლის სისქე: 0.8 მ). გეგმა იკითხება. ნაგებობიდან უკეთაა დარჩენილი სამხრეთი კედელი (სიმაღლე: 2.4 მ. სიგრძე: 5 მ). აგრეთვე განირჩევა აღმოსავლეთი მომრგვალება და დასავლეთი კედელი. ეკლესია ნაგები ყოფილა, საშუალო ზომის, დამუშავებული, თანაბრად დაჭრილი, კვადრებით.



ხელვა, ხიდი

ისტორიული ბაიბურთის სოფელი ხელვა, თანამედროვე ხელვა, ბაიბურთის ცენტრალური რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Helva, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფელში, მთავარი დასახლებიდან ჩრდილოეთით, დაახლოებით 3.4 კილომეტრზე, მდინარეზე, შემორჩენილია ქვის ხიდის ბურჯები (40°11'20.37"N; 40°29'02.24"E). ჩანს, ხიდი ორმალიანი ყოფილა.

ხიდი არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.



ფოტო 1. სოფელი ხელვა



ფოტო 2. ხიდის ბურჯები

ხინზავერეკი, ეკლესია

ისტორიული ბაიბურთის სოფელი ხინზავერეკი, თანამედროვე ტაშკესენი, ბაიბურთის ცენტრალური რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Taşkesen, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფელში შემორჩენილია ეკლესია (40°19'37.52"N; 40°10'49.67"E), რომელიც, ამაჟამად, ჩართულია ადგილობრივი მაცხოვრებლის ძველი სახლის კედელში. შემორჩენილია მხოლოდ მისი დასავლეთი კედელი (ზომები: სიგრძე 6.5 მ, სიმაღლე 4 მ), რომელშიც დარჩენილია ეკლესიის კარი და ორი სარკმელი. კარის თავზე ქვაა, რომელშიც ამოკვეთილია წრე, სავარაუდოდ, მასში ჯვარი იქნებოდა.

ეკლესია მოხსენიებულია თურქულ ლიტერატურაში.



სოფლის სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით ფიქსირდება გორა-ნამოსახლარები (იხ. დანართი 1).

ხორსი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით

ისტორიული ბაიბურთის სოფელი ხორსი, თანამედროვე კურუგუნეი, ბაიბურთის ცენტრალური რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Kurugüney, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაახლოებით 2.3 კილომეტრზე, მაღალი მთის თხემზე, მდებარეობს მშრალი წყობის ნაგებობა (40°05'56.02"N; 40°03'53.16"E). მისი კედლები ჩაშლილია და დარჩენილია ქვაცირის სახით. საძირკვლის დონემდე დანგრეული კედლების ქვედა წყობები წრიულად და უწყვეტად შემოუყვება ბორცვის თხემს. შიდა მხარეს იკითხება კედელს მიბჯენილი, წრიული ფორმის, მომცრო ნაგებობების, ფრაგმენტები. ნაგებობის კედელში, სამხრეთით, ჩართულია ბუნებრივი კლდე. ადგილობრივი მოსახლეობა ამ ადგილს „ბუიუკ კალას“ (დიდ ციხეს) უწოდებს.

ნაგებობა არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.

მეგლის სიახლოვეს, მის ქვემოთ, კლდეზე, ფიქსირდება სახელწოდება „ქუჩუკ კალე“ (პატარა ციხე), თუმცა ამ ადგილას ნაგებობის არტეფაქტები შემორჩენილი არ არის. შესაძლოა, „ქუჩუკ კალე“ ზემოთ აღწერილი ნაგებობის დასავლეთით მდებარე ბორცვის თხემზე შემჩნეული ობიექტი იყოს, რომლის კონტურებიც ჩანს სატელიტიდან.



ჯილარა, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის სამხრეთით

ისტორიული ბაიბურთის სოფელი ჯილარა, თანამედროვე საკიზლი, ბაიბურთის ცენტრალური რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Sakızlı, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფლის სამხრეთით, დაახლოებით 1.8 კილომეტრზე, მაღალი მთის თხემზე, მდებარეობს მშრალი წყობის ნაგებობა (40°09'40.80"N; 40°02'20.71"E). მისი კედლები ჩაშლილია და დარჩენილია ქვაცირის სახით. საძირკვლის დონემდე დანგრეული კედლების ქვედა წყობები წრიულად და უწყვეტად შემოუყვება ბორცვის თხემს. შიდა მხარეს იკითხება კედელს მიბჯენილი წრიული ფორმის, მომცრო ნაგებობების, ფრაგმენტები. ადგილობრივი მოსახლეობა ამ ადგილს „ჰასარ თეფეს“ უწოდებს.

ნაგებობა მოხსენიებულია თურქულ ლიტერატურაში.



ჯუმავანქი, ეკლესია სოფლის ჩრდილო-დასავლეთით

ისტორიული ბაიბურთის სოფელი ჯუმავანქი, თანამედროვე კარლიჯა, აიდინთეფეს რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Karlıca, Aydıntepe İlçesi, Bayburt İli).

სოფლის ჩრდილო-დასავლეთით, დაახლოებით 2 კილომეტრზე, ნასახლარებია (40°26'21.31"N; 40°11'43.84"E). ადგილობრივი მოსახლეობა ამ ადგილას ეკლესიას ადასტურებს. ამჟამად, ძეგლი განადგურებულია. ადგილზე არტეფაქტები შემორჩენილი აღარაა.

ეკლესია არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.



ამავე სოფელში XVIII საუკუნის ჯამეა შემორჩენილი (40°25'51.63"N; 40°13'08.39"E). კართან ორი არაბული წარწერაა. ასევე, ინტერიერში ხის დეტალებზე არაბული წარწერებია. ხის მიჰრაბში გამოყენებულია ყურძნის სახიანი ორნამენტები.



ჯუმავანქი, ციხე (?) სოფლის ჩრდილო-დასავლეთით

ისტორიული ზაიბურთის სოფელი ჯუმავანქი, თანამედროვე კარლიჯა, აიღინთეფეს რაიონი, ზაიბურთის პროვინცია (Karlıca, Aydıntepe İlçesi, Bayburt İli).

სოფლის ჩრდილო-დასავლეთით, დაახლოებით 2.5 კილომეტრზე, ხევის მარჯვენა მხარეს, კლდოვან კონცხზე, ციხე ყოფილა (40°27'4.62"N; 40°12'19.81"E), რომელიც, ამჟამად, სრულადაა დანგრეული. კედლის წყობები შემორჩენილი არ არის და დარჩენილია ქვაცირილები. ადგილობრივი მოსახლეობა მას „კალეს“ (ციხეს) უწოდებს.

ნაგებობა არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.



ფოტო 1. სოფელი ჯუმავანქი



ფოტო 2. ციხის (?) ადგილი

ჰავნუსი, ძველი ჯამე

ისტორიული ზაიბურთის სოფელი ჰავნუსი, თანამედროვე სარიმეშე, ზაიბურთის ცენტრალური რაიონი, ზაიბურთის პროვინცია (Sarımışe, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფელში XIX საუკუნის ჯამეა (40°26'46.42"N; 40°16'55.72"E). მისი ინტერიერი მთლიანად მოპირკეთებულია ოსმალური მოტივებით გაფორმებული ფილებით, ხოლო მისი გუმბათი მოხატულია.



ჰაკიდი, მშრალი წყობის ნაგებობა სოფლის აღმოსავლეთით

ისტორიული ბაიბურთის სოფელი ჰაკიდი, თანამედროვე ჩამდერე, ბაიბურთის ცენტრალური რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Çamdere, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფლის აღმოსავლეთით, დაახლოებით 1 კილომეტრზე, მაღალი მთის თხემზე, მდებარეობს მშრალი წყობის ნაგებობა (40°09'39.91"N; 40°01'02.77"E), რომელიც ძლიერაა დაზიანებული. კედლები ჩაშლილია და ბორცვის ფერდებზე ქვაცილებების სახითაა დარჩენილი. სამირკვლის დონემდე დანგრეული და მიწით დაფარული ნაგებობის კედლის კონტური ბორცვის თხემს შემოუყვება წრიულად. ალაგ-ალაგ ჩანს კედლის ფრაგმენტები. განირჩევა ძლიერ დაზიანებული შიდა ნაგებობების კვალი. ტერიტორიაზე უხვადაა დარჩენილი კერამიკის ფრაგმენტები.

ნაგებობა არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.



ჰაფუშქე, ეკლესია

ისტორიული ბაიბურთის სოფელი ჰაფუშქე, თანამედროვე შალჯილარი, აიდინთეფეს რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Şalcılar, Aydıntepe İlçesi, Bayburt İli).

სოფელთან, სამხრეთით, შემადლებულ ბორცვზე, მდებარეობს ეკლესია (40°25'27.21"N; 40°06'19.76"E), რომელიც, ამჟამად, განადგურებულია. ტერიტორია გათხრილია განძის მაძიებელთა მიერ და დარჩენილია მხოლოდ ეკლესიის ქვები.

ეკლესია არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.



ჰეფური, ციხე

ისტორიული ბაიბურთის სოფელი ჰეფური, თანამედროვე კურბანპინარი, ბაიბურთის ცენტრალური რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Kurbanpınar, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაახლოებით 1 კილომეტრზე, მაღალ, კლდოვან ქედზე, შემორჩენილია ციხე ეკლესიით (40°17'25.50"N; 40°22'0.31"E). ციხის კედლები დანგრეულია და დარჩენილია ქვყრილის სახით. ჩანს, ციხის გალავანი კლდის რელიეფს შემოსდევდა. ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, კლდის კედელზე, ეკლესია მდგარა, რომელიც ასევე დანგრეულია. იკითხება მხოლოდ აღმოსავლეთით, კონქის მომრგვალების ფრაგმენტი. ეკლესიის მშენებლობაში, როგორც ჩანს გამოყენებული ყოფილა შირიმის ქვაც. ციხის ტერიტორიაზე კერამიკის ფრაგმენტებია შემორჩენილი.

ციხე არ არის მოხსენიებული ჩვენთვის ცნობილ ლიტერატურაში.





ჰინდი, ეკლესია

ისტორიული ბაიბურთის სოფელი ჰინდი, თანამედროვე სოლუთლუ, ბაიბურთის ცენტრალური რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Söğütlü, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).

სოფელში მდებარეობს ეკლესია (40°11'55.12"N; 40°03'55.02"E). ნაგებობა სამნავიანი ბაზილიკის ტიპის ტაძარია (მიახლოებითი ზომები: სიგრძე 19 მ, სიმაღლე 7 მ). ბაზილიკა ნაგებია მოვარდისფო ფერის, დამუშავებული ქვის, კვადრებით. ეკლესიას შვერილაფსიდიანი საკურთხეველი აქვს. ექსტერიერში, საკურთხეველისგან გამიჯნულია, მასზე უფრო დაბალი, პასტოფორიუმები. სამივე მონაკვეთი, ექსტერიერში, მიახლოებულია კვადრატს. სამხრეთ კედელში გაჭრილია 4 დიდი, ვერტიკალური, ფანჯარა. ჩრდილოეთ ნაწილში არსებული 3 ფანჯრის ღიობები შედარებით პატარა ზომისაა. ეკლესიას კარი სამხრეთით ჰქონია. მის თავზე ჩადგმულია ორნამენტით მოჩარჩოებული ქვა, ათ სტრიქონიანი სომხური წარწერით. კარის თავზე ცრუ თალია ამოყვანილი. ეკლესიის აღმოსავლეთით მოგვიანებით კედელია მონგრეული და ჩასმულია ხის კარი.

ინტერიერში კარგადაა შემორჩენილი თითქმის ყველა არქიტექტურული დეტალი. ცენტრალური 4 სვეტი (მათ შორის მთავარი კედლების საყრდენი სვეტები) წრიული ფორმისაა და ეყრდნობა ბაზისებს. ბაზილიკის თაღები კი, თავის მხრივ, დაყრდნობილია, კაპიტელებით დაბოლოებულ, სვეტებზე. ტაძრის დასავლეთით 2 სვეტი კი ოთხკუთხა ფორმისაა. ამავე ფორმას იმეორებს საკურთხეველის სამხრეთით და ჩრდილოეთით არსებული პილასტრები, რომლებიც განსხვავებულია დანარჩენებისგან - მათზე, მთელ სიგრძეზე დეკორაციული გაფორმებაა წარმოდგენილი. სამხრეთი პილასტრი

ეყრდნობა ქვას, რომელზეც მცენარეული ორნამენტებით გამშვენებული ჯვარია ამოკვეთილი. ჩანს, ქვა გაცილებით ადრეული პერიოდისაა და მოგვიანებით ტაძრის მშენებლობაში გამოიყენეს. დასავლეთით, ეკლესია გადატიხრულია – ბოლო წყვილ სვეტებთან ამოყვანილია გვიანდელი პერიოდის კედელი. ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთით შეისრულთაღიანი ნიშია, რომელიც გაფორმებულია დეკორით. მის თავზე ჯვარი ყოფილა გამოსახული, რომელიც, ამჟამად, მომტვრეულია. სამხრეთ-აღმოსავლეთ კედელში სანათლაგია – ასევე დეკორით გაფორმებული შეისრული თაღით. მის შიგნით, აღმოსავლეთ, ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლებზე ჯვრებია ამოკვეთილი. საკურთხეველში აფსიდისა და კონქის გამყოფი ნახევარწრიული შვერილი, უერთდება მისი საყრდენი პილასტრების კაპიტელებს. მის ორივე მხარეს პასტოფორიუმებია, შესასვლელებით საკურთხევლისა და ცენტრალური სივრციდან. დასავლეთი კარის თავზე ქვის დეკორებია და ამოკვეთილია თითო ჯვარი. პასტოფორიუმების თავზე წრიული სარკმლებია. თითო სარკმელია ასევე მათ შიდა სივრცეშიც, აღმოსავლეთით ნაწილში.

ტაძრის აღმოსავლეთით, ფასადზე, ჩასმულია ქვა, მასზე ამოკვეთილი გამშვენებული ჯვრით.

ეკლესიის დასავლეთით, ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით ნაწილობრივ, მიბჯენილია ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებელი სახლები და დამხმარე ნაგებობები.

ეკლესია მოხსენიებულია თურქულ ლიტერატურაში.



ფოტო 1. ეკლესია, სამხ.-აღმ. ექსტერიერი



ფოტო 2. ეკლესიის ინტერიერი



ფოტო 3. ჩრდ.-აღმ. ინტერიერი, პასტოფორიუმი



ფოტო 4. დას. ინტერიერი



ფოტო 5. ინტერიერი, სვეტები, დეტალი



ფოტო 6. კარის თავზე მოთავსებული წარწერიანი ქვა



ფოტო 7. აღმ. ფასადზე მოთავსებული ჯვრიანი ქვა



ფოტო 8. ინტერიერში გამოყენებული ჯვრიანი ქვა

სოფელში ფიქსირდება გორა-ნამოსახლარები (იხ. დანართი 1).

ჰინი, ციხე სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით

ისტორიული ბაიბურთის სოფელი ჰინი, თანამედროვე ბაირამფაშა, დემიროზუს რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Bayrampaşa, Demirözü İlçesi, Bayburt İli).

სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით, დაახლოებით 1.5 კილომეტრზე, მაღალი მთის თხემზე, მდებარეობს ციხე (40°11'5.20"N; 39°49'55.66"E). ნაგებობის ძირითადი კონსტრუქცია ჩამოხრებულია, თუმცა შესაძლებელია მიახლოებითი გეგმის აღდგენა. ციხე დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენაა დამხრობილი და ბორცვის თხემის კიდეებს შემოუყვება. ყველაზე უკეთ შემორჩენილია ციხის დასავლეთი კედელი, რომელიც ჩრდილოეთით გრძელდება. დასავლეთი კედლის სიგრძე 30 მეტრია. კედლის სიმაღლე 3.5 მეტრამდე აღწევს. ჩრდილოეთით შემორჩენილი კედლის სიგრძე 6 მეტრამდეა, ხოლო სისქე 1.5 მეტრს აღწევს. დასავლეთის კედელს კუთხოვანი ტეხილი აქვს, რომელიც იმეორებს ბორცვის თხემის რელიეფის ფორმას. ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ კედლები ჩამოხრებულია და ქვები ჩაყრილია ბორცვის თხემზე, თუმცა განირჩევა საძირკვლის დონემდე დანგრეული კედლების კონტურები. ჩრდილოეთი კედლის სიგრძე 50 მეტრამდეა და მის კედელში განირჩევა წრიული გოდოლის ნაშთები. აღმოსავლეთით თხემის ყველაზე ვიწრო ნაწილია, სადაც, ბუნებრივი კლდის დაბოლოებაში ამოჭრილია წრიული ფორმის სივრცე - სავარაუდოდ წყლის ავზი. სამხრეთი კედელი მონგრეულია. არ ჩანს კედლის წყობის კონტურები. სავარაუდოდ, კედელი ბუნებრივი კლდის კიდეებთან გადიოდა. ციხის შიგნით, აღმოსავლეთით, ცენტრში, შემორჩენილია ოთხკუთხა ნაგებობის კედლის წყობა, რომლის ფუნქციაც გაურკვეველია. ციხის ტერიტორიაზე მრავლადაა კერამიკის ფრაგმენტები.

ციხე მოხსენიებულია ლიტერატურაში.





სოფლის სამხრეთით ფიქსირდება გორა-სამარხი (იხ. დანართი 1).

ჰორმე, ძველი ჯამე




ისტორიული ბაიბურთის სოფელი ჰორმე, თანამედროვე სალკიმსუ, ბაიბურთის ცენტრალური რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Salkımsu, Bayburt Merkez İlçesi, Bayburt İli).






სოფელში მდებარეობს ძველი ჯამე (40°15'58.37"N; 40°23'16.57"E), რომლის მხოლოდ ერთი კედელია შემორჩენილი.













დანართი 1. გორა-ნამოსახლარები და გორა-სამარხები






დანართში წარმოდგენილია ექსპედიციის დროს, საკვლევ მხარეში დაფიქსირებული გორა-ნამოსახლარები და გორა-სამარხები. მათ შესახებ ინფორმაცია მოძიებული იყო ძირითადად თურქული ლიტერატურიდან, ასევე, ადგილობრივი მოსახლეობისგან.






	მეგლის აღწერა	ფოტო
1	<p>აღკი, გორა-ნამოსახლარი სოფლის სამხრეთით</p> <p>ისტორიული ბაიბურთის სოფელი აღკი, თანამედროვე დიკმეტაში, დემიროზუს რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Dikmetaş, Demirözü İlçe, Bayburt İl).</p> <p>სოფლის სამხრეთით, დაახლოებით 1 კილომეტრზე, თურქულ ლიტერატურაში ფიქსირდება გორა-ნამოსახლარი (40°01'48.76"N; 39°47'21.00"E), რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობაც ადასტურებს. ადგილზე რაიმე სახის არტეფაქტები არ ფიქსირდება.</p>	
2	<p>ბალახორი, გორა-ნამოსახლარები</p> <p>ისტორიული ბაიბურთის სოფელი ბალახორი, თანამედროვე აქშარი, ბაიბურთის ცენტრალური რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Akşar, Bayburt İlçe, Bayburt İl).</p> <p>სოფელში, მთავარი დასახლების სამხრეთით, ლიტერატურაში ფიქსირდება გორა-ნამოსახლარი (40°20'26.29"N; 39°58'35.85"E), რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობაც ადასტურებს და მას „ბულგურთეფეს“ უწოდებს. ადგილზე რაიმე სახის არტეფაქტები არ ფიქსირდება.</p> <p>კიდევ ერთი გორა-ნამოსახლარი ახსენა ადგილობრივმა მოსახლეობამ, რომელიც ამ სოფელს ეკუთვნის, მაგრამ ადგილის დაფიქსირება ვერ მოხერხდა.</p>	
3	<p>გელბულასი, გორა-ნამოსახლარები</p> <p>ისტორიული ბაიბურთის სოფელი გელბულასი, თანამედროვე კავაჯიკი, ბაიბურთის ცენტრალური რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Kavacık, Bayburt İlçe, Bayburt İl).</p> <p>სოფლის სამხრეთ-დასავლეთით, დაახლოებით 1.5 კილომეტრზე (40°16'01.78"N; 40°04'20.95"E) და სამხრეთ-დასავლეთით, 2.6 კილომეტრზე (40°15'27.61"N 40°04'00.11"E), თურქულ ლიტერატურაში ფიქსირდება გორა-ნამოსახლარები, რომლებსაც ადგილობრივები მოსახლეობაც ადასტურებენ. ადგილზე რაიმე სახის არტეფაქტები არ ფიქსირდება.</p>	 <p>გორა-ნამოსახლარი დასავლეთით 2.6 კმ-ზე</p> <p>გორა-ნამოსახლარი დასავლეთით 1.5 კმ-ზე</p>






<p>4</p>	<p>დანიშმენდლუ, გორა-ნამოსახლარი და გორა-სამარხი</p> <p>ისტორიული ზაიბურთის სოფელი დანიშმენდლუ, თანამედროვე დანიშმენტი, ზაიბურთის ცენტრალური რაიონი, ზაიბურთის პროვინცია (Danışment, Bayburt İlçe, Bayburt İl).</p> <p>სოფლის სამხრეთ-დასავლეთით, დაახლოებით 1 კილომეტრზე, ლიტერატურაში ფიქსირდება გორა-ნამოსახლარი (40°14'56.71"N 40°08'30.11"E), რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობაც ადასტურებს. ადგილზე რაიმე სახის არტეფაქტები არ ფიქსირდება. მოსახლეობა ამ ადგილს „ჩორაქეთეფეს“ (უწყლო ბორცვს) უწოდებს.</p> <p>ამავე სოფლის ჩრდილო-დასავლეთით, სავარაუდოდ, გორა-სამარხია (40°15'45.39"N 40°08'17.29"E), მოსახლეობა ამ ადგილს „ფულურთეფეს“ ეძახის.</p>	 <p>გორა-ნამოსახლარი</p>  <p>გორა-სამარხი</p>
<p>5</p>	<p>ეიმური, გორა-სამარხი</p> <p>ისტორიული ზაიბურთის სოფელი ეიმური, თანამედროვე ეიმური, დემიროზუს რაიონი, ზაიბურთის პროვინცია (Eymür, Demirözü İlçesi, Bayburt İli).</p> <p>სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაახლოებით 2.7 კილომეტრზე, მაღალი მთის თხემზე, მდებარეობს მშრალი წყობის ნაგებობა (40°07'42.14"N; 39°50'43.16"E), რომლის აღმოსავლეთით, რამდენიმე მეტრში, გორა-სამარხია. ადგილზე რაიმე სხვა სახის არტეფაქტები არ ფიქსირდება.</p>	
<p>6</p>	<p>ერგი, გორა-სამარხი</p> <p>ისტორიული ზაიბურთის სოფელი ერგი, თანამედროვე ტაშოჯადი, ზაიბურთის ცენტრალური რაიონი, ზაიბურთის პროვინცია (Taşocağı, Bayburt İlçe, Bayburt İl).</p> <p>სოფლის ჩრდილოეთით, დაახლოებით 1 კილომეტრზე, შემადლებულ ბორცვზე, მდებარეობს გორა-სამარხი (40°19'41.13"N; 40°02'52.37"E). ადგილზე რაიმე სხვა სახის არტეფაქტები არ ფიქსირდება.</p>	
<p>7</p>	<p>ვარიჯნა, გორა-ნამოსახლარები სოფლის სამხრეთით</p> <p>ისტორიული ზაიბურთის სოფელი ვარიჯნა, თანამედროვე მუთლუ, ზაიბურთის ცენტრალური რაიონი, ზაიბურთის პროვინცია (Mutlu, Bayburt İlçe, Bayburt İl).</p> <p>სოფლის სამხრეთით, დაახლოებით 1.3 კილომეტრზე (40°12'08.10"N; 40°08'6.57"E) და 1.8 კილომეტრზე (40°11'52.67"N; 40°08'40.28"E) თურქულ ლიტერატურაში ფიქსირდება გორა-ნამოსახლარები, რომლებსაც ადგილობრივი მოსახლეობაც ადასტურებს. ადგილზე შემადლებული ბორცვებია. სხვა სახის არტეფაქტები არ ფიქსირდება.</p>	 <p>გორა-ნამოსახლარი, სამხრეთით 1.8 კმ-ზე</p>






		 <p data-bbox="979 495 1437 524">გორა-ნამოსახლარი სამხრეთით 1.3 კმ-ზე</p>
8	<p data-bbox="427 551 810 580">ზემო ლური, გორა-ნამოსახლარები</p> <p data-bbox="256 589 943 678">ისტორიული ბაიბურთის სოფელი ზემო ლური, თანამედროვე ბეშპინარი, დემიროზუს რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Beşpınar, Demirözü İlçe, Bayburt İl).</p> <p data-bbox="256 685 943 931">სოფელთან დასავლეთით, დაახლოებით 0.6 კილომეტრზე, ლიტერატურაში ფიქსირდება გორა-ნამოსახლარი (40°02'13.67"N; 39°50'46.88"E), რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობაც ადასტურებს. ადგილზე რაიმე სახის არტეფაქტები არ ფიქსირდება. სოფელში ლიტერატურიდან კიდევ ფიქსირდება ორი გორა-ნამოსახლარი, თუმცა მწირი აღწერის გამო ვერ ხდება მათი ლოკალიზება.</p>	
9	<p data-bbox="284 943 916 972">ზემო სისნე, ნამოსახლარი სოფლის ჩრდილო-დასავლეთი</p> <p data-bbox="256 981 943 1099">ისტორიული ბაიბურთის სოფელი ზემო სისნე, თანამედროვე აშალი პინარლი, დემიროზუს რაიონი, ბაიბურთის პროვინცია (Yukarı pınarlı, Demirözü İlçe, Bayburt İl).</p> <p data-bbox="256 1106 943 1290">სოფლის ჩრდილო-დასავლეთით, თურქულ ლიტერატურაში ფიქსირდება გორა-ნამოსახლარი, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობაც ადასტურებს და დაახლოებით არეალს უთითებს, სადაც შემადღებული ბორცვია. სხვა სახის არტეფაქტები არ ფიქსირდება. მოსახლეობა ამ ადგილს „გუნდოლაკ თეფეს“ ეძახის.</p>	
